# ცნობილი ლოტბარის, ტრისტან სიხარულიძის საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართა



**ალიონი.** 1 ოქტომბერს, რუსთა-ველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში გურული ხალხური სიმღერების გამორჩეული ოსტატის, „სახალხო ანსამბლ „შვიდკაცას“ ხელმძღვანელის, ხელოვნების ქურუმის, ფოლკლორის პრემიის პირველი ლაურეატის, ტრისტან სიხარულიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. მანამდე, ქ. ოზურგეთში, ფოლკლორის ცენტრსI მისი სახელობის ვარსკლავი გაიხსნა.

ტრისტან სიხარულიძე გურიის იმ ლამაზ სოფელში დაიბადა, რომელმაც ქართულ ფოლკლორს არაერთი გამორჩეული ოსტატი მისცა. სახელოვანი მაკვანეთლების კოჰორტას სიხარულიძეების გვარიც ამშვენებს. ტრისტანის მამა ილარიონ სიხარულიძე და ბიძაშვილი გური სიხარულიძე გურული ხალხური სიმღერების სახელოვანი შემსრულებლები იყვნენ.

ტრისტან სიხარულიძე ერქომაიშვილების გვარის ღირსეულ წარმომადგენელ, ამ მხარის მეისტორიის, აწ გარდაცვლილ ანზორ ერქომაიშვილის თანატოლი იყო და ამ ორმა ნიჭიერმა ადამიანმა დიდი ამაგი დასდეს გურულ ხალხურ ფოლკლორს.

როგორც ბატონი ტრისტანი იხსენებს, 1947 წელს, 10 წლის ასაკში ვლადიმერ ერქომაიშვილმა ანზორისთან ერთად მიიწვია ანსამბლში და საქართველოს მე-3 ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ.

*—ვლადიმერმა „შვიდკაცა“ დამაწყებინა. ანზორი მოკრიმანჭულე იყო. ბანს ქალი ამბობდა. დარბაზი ტაშით დაინგრა. მე და ანზორს ტაშის შეგვეშინდა და კულისებში გავიქეცით. ლადიკო კულისებში შემოვიდა და გვითხრა:*

*—ბაბუებო, ეს ტაში თქვენ გეკუთვნითდა თქვენ სად გარბიხართო... ხელი მოგვკიდა და სცენაზე დაგვაბრუნა.მაჯის საათებით დაგვაჯილდოეს“* —იხსენებს ტრისტანი.

დაამთავრა მაკვანეთის საშუალო სკოლა, შემდეგ ჩაის ტექნოლოგიური ტექნიკუმი.

ტრისტანი 1961-67 წლებში, როგორც გურული სიმღერების კარგი მცოდნე, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გამოდიოდა.

ოზურგეთში ამ დროისათვის სახელოვანი „შვიდკაცა“ „ბობოქრობდა“ მიხეილ შავიშვილის ხელმძღვანელობით. ტრისტანი ოზურგეთში დაბრუნდა და ამ ანსამბლის წევრი გახდა. მას შემდეგ 55 წელია იგი ამ ანსამბლშია.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში მაქსიმალურად იყო შეზღუდული უცხოეთში გასტროლებზე წასვლა, მიხეილ შავიშვილის „შვიდკაცამ“ 1970 წელს იტალიაში (სიცილია) გასტროლების დროს აჩვენა, რომ თუ როგორი ფენომალური იყო ქართული ფოლკლორი.ამას მომდევნო წლებში შოტლანდიაში წარმატებული გასტროლები მოჰყვა და „შვიდკაცამ“ გზა გაიკაფა უცხოეთისკენ.

ბატონი ტრისტანის თქმით, ანსამბლ „შვიდკაცასთან“ ერთად 25 ქვეყანა აქვს მოვლილი. იმის გამო, რომ მიხეილ შავიშვილს ჯანმრთელობის მდგომარეობა შერყეული ჰქონდა, არ შეეძლო უცხოეთში წასვლა, ანსამბლი უცხოურ გასტროლებზე ტრისტანის ხელმღვანელობით მიემგზავრებოდა. ასე მოიარეს მათ ბელგია, ესპანეთი, ჰოლანდია, საბერძნეთი, ეგვიპტე და სხვა ქვეყნები. 1999 წლიდან ტრისტან სიხარულიძე ოფიციალურად უძღვება ანსამბლ „შვიდკაცას“.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ვლადიმერ ერქომაიშვილმა გურული ხალხური სიმღერების აღმდგენი სკოლა-ანსამბლი „ელესა“ შექმნა. მან

▶▶▶ გვ—4


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 26 (10438) 10 ოქტომბერი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.


# ჩოხატაურში სულიკო ჟღენტის სახელობის კინო სახლის აღდგენა მიმდინარეობს



**ალიონი**. ოზურგეთსა და ჩოხატაურში არქიტექტურული თვალსაზრისით უნიკალურ შენობათა რიცხვშია ოზურგეთისა და ჩოხატაურის კინოთეატრები. 1936-38 წლებში იმჟამინდელი ადგილობრივი გაზეთი ხშირად წერდა ოზურგეთის კინოთეატრის მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. ორთავე კინოთეატრი ადგილობრივ მოსახლეობაში პოპულარობით სარგებლობდა. წლებმა თავისი დაღი დაასვა შენობებს. ოზურგეთისაგან განსხვავებით ჩოხატაურის კინოთეატრის შენობის რეაბილიტაციას შეუდგნენ. კულტურის სამინისტრომ ამ შენობას კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა. გაზეთი „ალიონი“ ამ თემაზე, კინოთეატრ„გურიას“ აღდგენის ინიციატორს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ზაალ მამალაძეს** ესაუბრა:

*— 2020 წლიდან ჩოხატაურის საკრებულომ დაიწყო ყოფილი კინოთეატრ „გურიას“ ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის თაობაზე დოკუმენტაციის შეგროვება.*

*გაირკვა, რომ აღნიშნული შენობა 2012 წლის 18 აპრილიდან აღარ ირიცხებოდა სს „ქართული ფილმის“ ბალანსზე და გადასული იყო სახელმწიფო საკუთრებაში.*

*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიამ მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად შეკრიბა ყველა დოკუმენტაცია და წარუდგინა ქონების მართვის სააგენტოს. უმოკლეს ვადებში მოხერხდა,*

▶▶▶ გვ—3

# საკრებულოს სხდომა მორიგი ხმაურის ფონზე

**ალიონი.** *„შენ წურბელა და ტკიპა ხარ. საკრებულოს სამარცხვინო წევრი ხარ“*—ასე შეაფასა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 6 ოქტომბრის საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრის თათია ნიკოლაიშვილის გამოსვლა.

საკრებულოს თავმჯდომარის, **დავით დარჩიას** მიერ საკრებულოს დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ სიტყვა **თათია ნიკოლაიშვილმა** ითხოვა.

*—საკრებულოს მუშაობის რეგლამენტის შესაბამისად ვითხოვ განცხადება გავაკეთო:*

*მუნიციპალიტეტიდან საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვე, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ 100 რქოსანი პირუტყვის ქალაქში გადაადგილების აღკვეთისათვის, ანუ გადენისათვის 30 ათასი ლარია გადახდილი. გამოდის, რომ მუნიციპალიტეტს ერთი ძროხის გადადენა 500 ლარი უჯდება.*

*ამ დროს ნახეთ, როგორ იზრდება ფასები: — 1 კილოგრამი შაქარი 4 ლარამდე ღირს, ნახეთ რა ღირს 1 ლიტრი ზეთი, პური. ამ 30 ათასი ლარით რამდენ კარგ საქმეს გააკეთებდით? ამდენი სოციალურად დაუცველი ადამიანი გვყავს, არ შეიძლებოდა მათ დახმარებოდით? შეიძლებოდა, მაგრამ თქვენ ეს არ გაინტერესებთ* —ხმამაღლა გამოთქვამდა სათქმელს ენმ დეპუტატი.

მისი ხმაურიანი გამოსვლა, შემდეგ მერის პირველ მოადგილესთან პაექრობა ზემოთ თქმული „ეპითეტით“ დასრულდა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ გაკვირვება გამოთქვა, თუ რატომ არ დატოვა ტრადიციულად საკრებულოს სხდომა ენმ დეპუტატებმა.

*—რა ხდება, რატომ არ დატოვეთ სხდომა...* შემდეგ ამ პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძეს ჰკითხა: *—შენი ხმა რაღაც არ ისმის..*

*—არ მოგაკლებთ ამ სიამოვნებას* —უპასუხა მჟავანაძემ.

მართლაც საკრებულოს დღის წესრიგის პირველი საკითხის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ — განხილვისას მჟავანაძემ ფოტოები და ნაბეჭდი ქაღალდებიააფრიალა.

*—რა ხდება, ეს მოგწონთ, იქ, სადაც რეკრიაციული ზონაა, სადაც გამწვანებაა, ორი ჰექტარი მიწა უნდა გაასხვისოთ? მაინტერსებს ეს როდის უნდა განხორციელდეს?.. უზღუდავს თუ არა ბიძინა ივანიშვილი იქ მცხოვრებ ხალხს უფლებებს? ...ყიდულობს ყველაფერს, რეკრიაციულ ზონას იტაცებს.. საყანე ფართო-ბებსაც შეუცვალა სტატუსი* —ჰყვიროდა დავით მჟავანაძე.

მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი ღურჯუმელიძემ უპასუხა რომ, ურეკი-შეკვეთილის განაშენიანების გენგეგმით, რომელიც დამტკიცებულია, მითითებულია კონკრეტული მიწის ნაკვეთები. ეს საჯარო ინფორმაციაა და ყველას შეუძლია ნახოსო.

*— განაშენიენების გეგმაზე როცაა საუბარი, ეს არის ორი ჰექტარი უნიკალური ფიჭვის ტყე, რომელიც უნდა გაასხვისოთ.იქვე, წინა ნაწილში მოსახლეობაა. რო-ცა იქ შესაძლებელია, დასასვენებელი პარკი გაკეთდეს,*



▶▶▶ გვ—3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*

სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*

**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani15@gmail.com**
**558 499100**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*

**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# სამხარეო ადმინისტრაციაში ევროკავშირის შეფასების მისიის ხელმძღვანელთან შეხვედრა გაიმართა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ** საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის **U4ITD**-ის შეფასების მისიის გუნდის ხელმძღვანელ **რუბინა დევრიკიანთან** შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე სახელმწიფო რწმუნებულმა ყურადღება გაამახვილა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე, რომლებიც ხელს შეუწყობს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, გურიაში 2020-2022 წლებში განსახორციელებელი პროექტებისთვის 22 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

# შეხვედრა სოფელ კოხნარში



ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი **დავით შარაშიძე,** ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ლაშა თოლორდავასთან** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, იმყოფებოდა კოხნარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და მოინახულა რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში მიმდინარე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარე პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2023 წელს.

1,2 კმ მონაკვეთზე უკვე დაიგო ორფენიანი ასფალტი გვერდულებით, კიუვეტებითა და გაბიონებით,

გაკეთდა ეზოში შესასვლელები,

მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და ტროტუარი.

# თბილისობის დღესასწაულს გურია შეუერთდა



თბილისობა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში სხვადასხვა სახის ღონისძიებით აღინიშნა - თბილისობის დღესასწაულს გურია შეუერთდა.

მუზეუმში მოეწყო ეთნოგრაფიული კუთხე, მეწარმეთა პროდუქციისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა; პერფორმანსი - გურული სუფრის, სტუმრის გადაპატიჟებისა და ლხინის ინსცენირება; გაიმართა ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი.

კულინარიულ პროექტ „სამზარეულოს ომებში“ გამარჯვებულმა - ოზურგეთელმა მარიამ და დამიანე გორდელაძეებმა, გურული კერძების მასტერკლასი წარმოადგინეს.

ღონისძიებას ოზურგეთის მერი, ავთანდილ თალაკვაძე, სახელმწიფო რწმუნებულთან გურიის მხარეში, გიორგი ურუშაძესთან ერთად დაესწრო.

# ალექსანდრე სარიშვილი და ბესიკ ტაბიძე სკოლის დირექტორებს შეხვდნენ



ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** საჯარო სკოლების დირექტორებს შეხვდნენ.

– გილოცავთ მასწავლებლის საერთაშორისო დღეს! ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტი განათლებაზე, ჩვენი ქვეყნის მომავალ თაობაზე ზრუნვაა. მინდა ნაყოფიერი და წარმატებული მოღვაწეობა, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა გისურვოთ! – აღნიშნა ალექსანდრე სარიშვილმა.

შეხვედრაზე ისაუბრეს პრობლემებზე და საჭიროებებზე, რომლებიც სკოლებს აქვს. აღინიშნა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მიმდინარეობს იმ სკოლების შერჩევა, რომლების რეაბილიტაციაც მომავალი წლიდან დაიწყება.

სკოლის დირექტორებმა აღნიშნეს, რომ ისინი ყოველთვის გრძობენ ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერასა და თანადგომას.

შეხვედრის დასასრულს დირექტორებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

# კათოლიკე მორწმუნეებისთვის წმინდა ღვთისმშობლის ქანდაკება ჩამოაბრძანეს



ოზურგეთში კათოლიკე მორწმუნეებისთვის წმინდა ღვთისმშობლის ქანდაკება ჩამოაბრძანეს.

მრევლმა სიწმინე ტაძრამდე საზეიმო მსვლელობით მიაცილა. შემდეგ აღევლინა საზეიმო წირვა.

# 8 წლის ნიკოლოზ ჟორდანიას FIDE-მ საერთაშორისო რეიტინგი მიანიჭა



ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** პირველ მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძესთან** ერთად 8 წლის **ნიკოლოზ ჟორდანიას** შეხვდა, რომელსაც **FIDE**-ს საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა და ნიკოლოზს წარმატება მიულოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა.

ნიკოლოზ ჟორდანია ლანჩხუთის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელია. ის პირველი ლანჩხუთელი მოჭადრაკეა, რომელმაც ასეთ პატარა ასაკში მოიპოვა საერთაშორისო რეიტინგი.

# საკრებულოს სხდომა მორიგი ხმაურის ფონზე



რატომ უნდა გაიჩეხოს? ...ყველა ნიშანი არსებობს იმისა, რომ იქ ოლიგარქი ივანიშვილი აშენებს —ამბობდა მჟავანაძე...

—გადი გარეთ, წადი, იჩივლე, მიმართე სასამრთლოს, თუ ასეა, – უთხრა დავით დარჩიამ.

—კითხვა დასვი თუ გაქვს, – არაერთხელ გაუმეორა ღურჯუმელიძემ.

—ნახე, რამხელა მტკიცებულება მაქვს! შეექმნა თუ არა იმ ხალხს პრობლემა, ვინც იქ ცხოვრობს? გზა დაუკეტა ხალხს. აგერ კიდე საპირფარეშო იყიდა, – კვლავ ყვიროდა მჟავანაძე, თუმცა მას არავინ უსმენდა.

,,აუჰ'', ,,მტკიცებულება აქვს''.. ,,წადი და იჩივლე'', ,,არაა კარგად'', ,,გადი გარეთ'' ,,უპასუხისმგებლო''–ისმოდა საკრებულოს ,,ქართული ოცნების'' წარმომადგენლებისგან. ბოლოს კი ტაში დაუკრეს მჟავანაძეს, რომელიც არაერთგზის იმეორებდა თავისას.

—მთელი ერთი საათი, რომ წაიღეთ თქვენ, იმის მაგივრად, რომ საქმეზე გელაპარაკათ, უაზრო, უშინაარსო, არაკომპეტნტური ლაპარაკით ხალხს ართმევთ დროს. გაკოტრებული პარტია ხართ. თავდაცვის ბიუჯეტის ქურდს კეზერაშვილს მიხედეთ – ასე შეაფასა მჟავანაძის გამოსვლა გიორგი ღურჯუმელიძემ.

კეზერაშვილის ხსენებაზე ენმ დეპუტატი **გოჩა შარაშენიძე** აღშფოთდა:

—ნახეთ თქვენი ქურდი მინისტრები ცალ-ცალი კალოშებით რომ მოვიდნენ თანამდებობებზე და მილონერები გახდნენ. 4-5 სასახლე რომ აქვთ გაკეთებული... ოთხ სართულიან სახლებში, მესამეზე სასტუმრო, მეოთხეზე ბასეინი. ასე ნებივრობენ. თქვენ რა გაქვთ სათქმელი,– ყვიროდა შარაშენიძე.

შარაშენიძეს მერის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე გამოეპასუხა:

—კეზერაშვილმა რომ ჯარი გაქურდა, ამ პარტიის ხალხი რას ლაპარაკობს?

—ჯარი თუ გაქურდა, აქ არის თქვენი მთავრობა და დაიჭიროს. რატომ არ იჭერთ? თქვენი მთავრობა კი ხალხს პარავს. კარგით რა, არ გრცხვენიათ? – ყვიროდა შარაშენიძე.

მას შემდეგ, რაც ტელევიზიებმა დავით მჟავანაძე საკრებულოს ფოეში კონენტარებისთვის გაიხმეს, საკრებულოს სხდომა გაგრძელდა. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელეს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღეს.

საკრებულომ მიიღო შემდეგი განკარგულებები: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის, დაბა ნასაკირალის, გურიანთის და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე; ცვლილება შევიდა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ'' გაბკარგულებაში;

საჯარო წარმოება დაიწყო ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმების დამტკიცების" თაობაზე.

# ჩოხატაურში სულიკო ჟღენტის სახელობის კინო სახლის აღდგენა მიმდინარეობს

ალნიშნული ქონების ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადმოცემა. ამ პროცესის პარალელურად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაიწყო კინოთეატრ „გურიისთვის“ გამოჩენილი ქართველი მწერლისა და კინოდრამატურგის **სულიკო ჟღენტის** სახელის მინიჭების შესახებ საქმის წარმოება.

**რატომ სულიკო ჟღენტი?**

საკმარისია სულიკო ჟღენტის სცენარების მიხედვით გადაღებული ფილმების ჩამოთვლა, მისი აღიარებისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე: ,,ღიმილის ბიჭები'', ,,ნერგები'', ,,სინათლე ჩვენს ფანჯრებში'', ,,ჯარისკაცის მამა'', ,,წუთისოფელი'', ,,ფესვები'', ,,ბურთი და მოედანი'', ,,რაჭა ჩემი სიყვარული'', ,,მშობლიურო ჩემო მიწავ'', ,, ცხოვრება დონ -კიხოტ ლამანჩელის'' და სხვ.

სულიკო ჟღენტი დაიბადა 1925 წლის 22 ივნისს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სამებაში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ შუა ამაღლების საშუალო სკოლაში, რომლის დირექტორც იყო მისი მამა ილია ჟღენტი, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი.

ორივე საკითხი, ქონებისა და სახელდების შესახებ დადებითად გადაწყდა, კინოთეატრ ,,გურიას'' მიენიჭა შემდეგი სახელი: **,, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სულიკო ჟღენტის სახელობის კინო სახლი''.**

დადგა მთავარი საკითხი, თუ რა ფუნქცია უნდა შეეძინა არსებულ შენობას?

ყველა ამ საკითხის წარმოების ეტაპზე, მუნიციპალიტეტთან ერთად ჩართული იყო სულიკო ჟღენტის შვილი, კინომცოდნე, ხელოვნეობის დოქტორი, ქალბატონი **ოლიკო ჟღენტი**, მისი ინიციატივით დავიწყეთ მუშაობა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე, ,,კინო სახლისთვის'' კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე. კულტურის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ ეს საკითხიც დადებითად გადაწყდა. ასევე, ქალბატონ ოლიკოსთან შევთანხმდით, ფუნქციების თაობაზეც. პირველი, რაც ამ შენობაში უნდა განთავსდეს, ესაა გურიის კინო მუზეუმი. მით უმეტეს, როცა კინო ხელოვნებაში მოღვაზე საქვეყნოდ აღიარებული რეჟისო-რები, მსახიობები, სცენარისტები გურიიდან საკმაოდ გვყავს. ასევე, შევთამხმდით, კინო მუზეუმში უნდა იყოს არა მხოლოდ ექსპონატები, არამედ აქ უნდა იყოს ცოცხალი პროცესი, კინო ჩვენებები, მასტერკლასები და სხვადასხვა ღონისძიებები.

იმის გამო, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში არ არსებობს ახალგაზრდული სიცრცე, მსგავსი სივრცის შექმნა დაიგეგმა კინო სახლში, რაც გულისხმობს, ინოვაციური ტექნოლოგიების ოთახისა და ახალგაზრდული კაფის მოწყობას, მინი კინო დარბაზის, გეიმ ოთახის, მისიკალური ოთახის შექმნას. ერთი სიტყვით შეიქმნება სივრცე, სადაც ყველა თაობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებისთვის იქნება ადგილი, სადაც ისინი შეძლებენ დაკავდნენ შემეც-ნებითი საქმიანობით, მიიღონ სხვადასხვა არაფორმალური განათლება და იპოვონ საკუთარი თავი.

**რა ეტაპზე ვართ ახლა?**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის დროს ჩოხატაურში, ახალგაზრდებმა დააყენეს ეს საკითხი და პრემიერისაგან მივიღეთ სრული მხარდაჭერა. საჭიროა, სრული რეკონსტრუქცია, ოღონდ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის გათვალისწინებით. საჭიროა, კომპეტენტური ადამიანების მიერ, მომზადდეს შესაბამისი პროექტი, რის საფუძველზეც მოხდება შენობის ადაპტირება ფუნქციებთან მიმართებაში. მიმდინარეობს ამა მიმართულებით მუშაობა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის, დავით შარაშიძის შეპირებით უახლოეს მომავალში გვექნება შესაბამისი პროექტი, მით უმეტეს მისი სურვილიც არის, მეტი ყურადღება დაეთმოს ახალგაზრდებს.

# ბახვი ჰესის პირველი სტიპენდიანტი, მთისპირელი ჯაბა ბოლქვაძე მომავალი ენერგეტიკოსია




ბახვი ჰესის გაცხადებული გარემოსდაცვითი და სოციალური პროგრამის ფარგლებში არსებული სტუდენტების დახმარების პროგრამა 2022 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა. პროგრამის მიხედვით, კომპანიასოფელ მთისპირსა და სოფელ ჩხაკაურაში მცხოვრებ ახალგაზრდებს, რომლებიც სწავლას ენერგეტიკის ან კიდევ, გარემოსდაცვის სპეციალობებზე გადაწყვეტენ, სწავლის საფასურის80% გადაუხდის. ამ პროექტის პირველი ბენეფიციარი სოფელი მთისპირის მკვიდრი **ჯაბა ბოლქვაძეა**. მან მთისპირის საჯარო სკოლა 2022 წელს დაამთავრა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე ელექტრო ინჟინერის სპეციალობით იწყებს სწავლას. პროფესია ჯაბა ბოლქვაძეს, როგ-ორც თავად გვიყვება, უკვე შერჩეული ჰქონდა, როცა მის სკოლაში ბახვი ჰესმა ტრენინგ კურსი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც უფროსკლასელებს ჰიდროენერგეტიკასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ თემებს უხსნიდნენ და ასწავლიდნენ. ტრენინგ კურსის ფარგლებში პროფესიული ორიენტაციის კუთხითაც ჩატარდა შეხვედრები. სწორედ ამ შეხვედრებმა და ტრენინგის ფარგლებში მიღებულმა ცოდნამ უბიძგა ჯაბას შეეცვალა გადაწყვეტილება და ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩაებარებინა. .

**ჯაბა ბოლქვაძე,** სტუდენტი:

– *,,როცა ვაპირებდი უნივერსიტეტში ჩაბარებას და გადაწყვეტილი მქონდა ჩემი პროფესია, დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ვიყავი. ბახვი ჰესმა დაიწყო შეხვედრები ჩვენს სოფელში და გვიტარებდა ტრენინგებს. გამიჩნდა ინტერესი, რომ ამ სფეროში მეცადა ჩემი თავი. ვიყავით ექსკურსიაზე, ვნახეთ კინტრიშა ჰესის მუშაობის პრინციპი. ძალიან დამაინტერესა ამ დარგმა და ავირჩიე ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტი.*

*ვფიქრობ, ახალგაზრდებს სამომავლოდ ხელს შეუწყობს ეს სიახლე, უკვე ბევრი ახალგაზრდაა დაინტერესებული აღნიშნული პროფესიით. სამომავლოდ დავფუძნდები მთისპირში და ვიქნები წარმატებული სპეციალისტი ჩემს სფეროში''.*

**ნანა ჭეიშვილი,** მთისპირის სკოლის დირექტორი:

– **როგორ შეაფასებდით პროგრამას, რომელიც გულისხმობს სტუდენტების დახმარებას, თუკი ისინი ჩააბარებენ ენერგეტიკოსის ან გარემოს დამცველის პროფესიებზე?**

– *,,ბახვი ჰესის პროგრამა დიდი სტიმულია ახალგაზრდებისთვის, რომ დარჩნენ სოფელში, ჰქონდეთ სპეციალობა, დასაქმდნენ თავიანთი პროფესიის შესაბამისად. ეს წაახალისებს მათ სწავლის და შემდგომი მუშაობის პროცესშიც. ახალგაზრდას ეცოდინება, რომ კონკრეტული სასწავლებლის დასრულების შემდეგ ექნება სამსახურის პერსპექტივა საკუთარ სოფელში და რეგიონში. სტუდენტური დაფინასნების პროგრამა ძალიან კარგი სიახლეა ახალგაზრდა თაობის განვითარებისთვის, ასევე, სოფლის გაძლიერებისთვის. ჩვენ ვხედავთ, რომ სოფელს მასიურად ტოვებენ ახალგაზრდები და მიდიან სხვა ქალაქებში საცხოვრებლად. სწორად დაგეგმილი მომავალი უზრუნველყოფს მათ სოფელში დამკვიდრებას. ასევე, სოფელში გაჩნდა მუხტი ახალგაზრდა თაობაში, რომ სამომავლოდ დაეუფლონ ამ პროფესიებს, დასქამდნენ და განავითარონ თავიანთი სოფელი''.*

**რეზო ბოლქვაძე,** ჯაბა ბოლქვაძის მშობელი:

– **როგორ შეაფასებდით იმ ტრენინგ კურსს რომელიც ბახვი ჰესისი ორგანიზებით თქვენმა შვილმა გაიარა და რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის წახალისებები ოჯახებისთვის?**

*–,,ძალიან დადებითად შევაფასებ ამ პროექტს. ჩემს შვილს საზღვაო აკადემიაში ჰქონდა გადაწყვეტილი სწავლა, თუმცა, ტრენინგების შედეგად გადაწყვიტა ელექტრულ ინჟინერიაზე ჩაბარება. არსებობს დასაქმების იმედი და პერსპექტივა. ეს ძალიან კარგია მთელი ოჯახისთვის. დღეს სწავლის გადასახადის გადახდა ძალიან რთულია. რასაც თქვენ აკეთებთ დიდი წახალისებაა ჩვენთვის. ძალიან კმაყოფილი ვარ''.*

**დაფინანსებული ფართი**

# ცნობილი ლოტბარის, ტრისტან სიხარულიძის საიუბილეო საღამო რუსთაველის თეატრში გაიმართა



მხცოვან მომღერლებთან ერთად ანსამბლში ახალგაზრდა მომღერლებიც მოიწვია და ცალკე გამოჰყო „ახალგაზრდა ლოტბართა ანსამბლი.“ამ ანსამბლში გაერთიანდნენ: ანზორ ტუღუში, ტრისტან სიხარულიძე, ამირან გოლიაძე, გელა ცელაძე, ვასო ცეცხლაძე, ჯემალ ჭელიძე და სხვები. ისინი უმეტესად იმ ტრადიციულ საგალობლებს გალობდნენ, რომელსაც საბჭოთა იდეოლოგია კრძალავდა.

ოზურგეთში ტრისტან სიხარულიძემ მიხეილ შავიშვილის „კრიმანჭული“ აღადგინა.

2000 წელს, ანზორ ერქომაიშვილთან და გური სიხარულიძესთან ერთად ჩაწერა მუსიკალური ალბომი „ჩვენ მშვიდობა“, რომელშიც 26 გურული სიმღერაა შესული. ასევე, ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით, გური სიხარულიძესა და ოთარ ბერძენიშვილთან ერთად გამოსცა გურული სიმღერების სასწავლო ალბომი. ამჟამად მომღერალი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის სალოტბარო სკოლის კონსულტანტია.

2003 წელს ანზორ ერქომაიშვილის ინიციატივით და ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის მხარდაჭერით ოზურგეთში იუნესკოს ეგიდით - ახალგაზრდა ლოტბართა სკოლა შეიქმნა, სადაც მან 10 ლოტბარი აღზარდა.

*—ანზორ ერქომაიშვილმა მითხრა: — ტრისტან, ჩამოდი თბილისში და ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად მინდა შენი სიმღერები ჩავწეროო. ჩემი ნამღერი 25 სიმღერა შესულია ანსამბლ „რუსთავის“ ალბომში. ნამღერი ვარ ანსამბლ „რუსთავთან,“„ბასიანთან“, პოლიკარპე ხუბულავათან,* — იხსენებს ბატონი ტრისტანი.

ანზორის ინიციატივით შეიქმნა ტრიო „შალვა ჩემო“, რომელიც დღესაც პოპულარულია და 2011 ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ჰქონდა კონცერტები.

*—ანზორ ერქომაიშვილი მეუბნება: — ტრისტან იკარგება აი გურული სიმღერები. ყველას ხომ არ ასწავლიო. მოდი შექმენი ტრიო. აგერ გყავს გური სიხარულიძე, ბანი —მერაბ კალანდაძე და ერთი 20-25 სიმღერა მოამზადეთო...* მოვამზადეთ. ჩვენი სიმღერების ჩაწერისას ტრიოს „შალვა ჩემო“ ვუწოდეთ. შემდეგ გური გამოგვაკლდა. ახლა მე, მერაბი და ლევან ნინიძე ვაგრძელებთ დაწყებულ საქმეს....

2019 წელს ანსამბლ „შვიდკაცას“ ვასკვლავი გაუხსნეს.

ძალიან პოპულარულია ტრისტანი უცხოელებს შორის, რომლებიც ქართული პოლიფონიური სიმღერებით არიან დაინტერესებული. ამიტომაც იყო, რომ 29 სექტემბერს, ტრისტან სიხარულიძის სახელობის ვარსკვლავის გახსნაზე ღონისძიების ორგანიზატორებმა სიურპრიზი მოუწყვეს იუბილარს და მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მიესალმნენ ქართული ხალხური სიმღერების თაყვანისმცემლები, ტრისტან სიხარულიძის მასტერ-კლასგავლილნი კარლ ლინიქი და ანსამბლი „მარანი“, ზოე პერე საფრანგეთიდან, ფრეკ კეინი, ჯონ გრემი ამერიკიდან, ფრენკ შერბაუნი გერმანიიდან,იოსეფ ჟორდანია ავსტრალიიდან, ანდრია კუზმიჩი, შალვა მახარაშვილი კანადიდან, მარინა ლექსისტოფორი ამერიკიდან.

რუსთაველის სახელობის ეროვნულ თეატრში ღონისძიებაში მონაწილეო-ბდნენ საქართველოს სხვადა-სხვა კუთხის ფოლკლორული ანსამბლები: **„რიჰო“**— სვანე-თიდან, **„შილდა“**— კახეთიდან, **„რეხეული“, „შალვა ჩემო“** და **„შვიდკაცა“—** გურიიდან, რომლის განუმეორებელი მეორე ხმა თავად ტრისტან სიხარულიძეა ანსამბლის დაარსების დღიდან. ასევე, ანსამბლები: **„რუსთავი“, „ერისიონი“, „ბასიანი“, „ადილეი“ და „დიდგორი“.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **თეა წულუკიანი** ესწრებოდა, რომელმაც ტრისტან სიხარულიძეს ქართული (გურული) ხალხური სიმღერის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს საპატიო სიგელი გადასცა.

იუბილარს მიესალმნენ პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **არჩილ თალაკვაძე,** გურიის გუბერნატორი **გიორგი ურუშაძე.**

ანსამბლმა „ბასიანმა“ ტრისტან სიხარულიძეს მადლიერების ჯილდო გადასცა.

ფონდ „ქართული გალობის“ დამფუძნებელმა **ვანო ჩხარტიშვილმა** იუბილარი ფონდის მიერ შექმნილი სპეციალური სკულპტურით დააჯილდოვა.

თეატრის ფოიეში წარმოდგენილი იყო ლოტბარის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ფოტო გამოფენა.

— *ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ, ვინც მობრძანდა ჩემს იუბილეზე.მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს კულტურის მინისტრს ქალბატონ თეა წულუკიანს, რომელმაც დიდი პატივი დასდო ქართულ ფოლკლორს. განსაკუთრებული სიყვარული მაგრძნობიეს, მადლობა აქ გამოსულ ანსამბლებს, მადლობა ვანო ჩხარტიშვილს თანადგომისთვის. არ მეგონა, ამხელა თუ ვიყავი, ერთხანს ვიქნები თქვენთან ერთად!* — ამ მოკლე სიტყვაში ჩაატია ტრისტან სიხარულიძემ დიდი სათქმელი, რომლის გენეტიკური კოდი სიმღერიდან მოდის.

ვულოცავთ ბატონ ტრისტანს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, წელთა სიმრავლეს.



# ქართულ-ნორვეგიული საზაფხულო სკოლა



2022 წლის 22 ივლისიდან 4 აგვისტოს ჩათვლით, კვარიათში, ჩატარდა ქართულ-ნორვეგიული (თსუ ეთნოლოგია-ანთროპოლოგიისა და ბერგენის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის) ერთობლივი საზაფხულო სკოლა ანთროპ-ოლოგიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით.

აღნიშნული საზაფხულო სკოლა გამოირჩეოდა როგორც მრავალფეროვანი თემატიკის ლექციებით, ასევე პრაქტიკული დავალებებითაც. ლექციების ფარგლებში მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დარგის სპეციალისტებისაგან მიეღოთ თეორიული ცოდნა და გასცნობოდნენ ანთროპოლ-ოგიური კვლევის ძირითად მეთოდებს, ვი-ზუალური ანთროპოლოგიის საკითხებს და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საზაფხულო სკო-ლა გარდა ლექციებისა, მოიცავდა მცირე მასშტაბის ეთნოგრაფიულ ველს, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა. მონაწილეებმა საველე კვლევა ჩაატარეს საქართველოს სხვადასხვა ადგილას, სახელდობრ, სარფში, ბათუმში, მარადიდში, ბოძაურსა (სოფელი ხულოს მუნიციპალიტეტში) და ზუგდიდში. კვლევის შემდეგ, კვარიათში, მონაწილეებმა წარადგინეს პრეზენტაციები, ხოლო პრეზენტაციის შემდგომ მათ დაწერეს საველე ანგარიშები, შედეგად კი მიიღეს ბერგენის უნივერსიტეტის ხუთი კრედიტი.

ორკვირიანი საზაფხულო სკოლის ფარგლებში, ეწყობოდა ექსკურსიები, მათ შორის, აღსანიშნავია, ექსკურსია მაჭახელში, აქედან გამომდინარე, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებოდნენ მრავალფეროვან და საინტერესო ადგილებს, რომლებიც გამორჩეულია როგორც ისტორიული, ასევე ეთნოლოგიური კუთხით. ნიშანდობლივია, რომ თსუ ეთნოლოგია ანთროპოლოგიისა და ბერგენის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტი ზემოხსენებულ ტრადიციას მომავალშიც გააგრძელებს, დაინტერესებულ სტუდენტებს კი შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ საზაფხულო სკოლაში და შეიძინონ როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება ანთროპოლოგიური კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით.

**ნათია სურმანიძე,**
თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი



# შემოქმედებითი საღამო ლანჩხუთში



თემურ ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა მუზეუმში პოეტის, **პაატა მახარაძის (ბართოლომეო)** შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პოეტის ოჯახის წევრები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

საღამოზე წაიკითხეს მისი ლექსები, ისაუბრეს პოეტის შემოქმედებაზე.

აღინიშნა, რომ გურიის მასშტაბით, პაატა მახარაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი იწყება, სახელწოდებით „მე ვიმღერებ, შენ აშენე“. პროექტის ავტორები: პოეტი, მსახიობი სოფიო ღლონტი და მუსიკოსი, პაატა მახარაძის და, ბელა ბერკემერ- მახარაძე არიან.

პროექტის მიზანი გურიის რეგიონში ლიტერატურული ცხოვრების გააქტიურება და ახალგაზრდების (სკოლის მოსწავლეების მე-9 კლასიდან მე-12 ჩათვლით) ჩართულობაა.

პაატა მახარაძე (ბართოლომეო) გასული წლის 6 სექტემბერს ავტოავარიის შედეგად გარდაიცვალა.

# „არწივებმა“ „არმაზი“ 55:7 დაამარცხეს




ოზურგეთის „არწივებმა“ მესამე ტურის შეხვედრაში მარნეულის „არმაზი“ თავისსავე მოედანზე 7:55 დაამარცხეს.

ოზურგეთელთაგან ყველა ლელო ლეგიონერებმა დადეს. აფრიკელებიდან: დამიან სვანეპოელმა —3 ლელო; ჯაბულანი მკულვანმა —2 ლელო: მარვინ ფრედერიკსმა —ერთი ლელო: გარდა ამისა მანვე წარმატებით შეასრულა 7 გარდასახვა, 1 ჯარიმა, 1 არკენი. ერთი ლელო სამოელ ილისონი გალალას ანგარი-შზეა.

14-14 ქულით გათამაშებას სამცხე-ჯავახეთის „ტაო“, ოზურგეთის „არწივები“ და თბილისის არმია ლიდერობენ.

დიდი „არწივების“ მსგავსად, კარგი სტარტი აიღეს „ბ“ლიგას „არწივებმაც“.

ოზურგეთელმა ჭაბუკებმა პირველ ტურში ჭიათურაში 15:3 დაამარცხეს „მთე“, ხოლო მეორე ტურში ზვანის რაგბის სტადიონზე დიდი ანგარიშით 41: 0 დაამარცხეს სამცხე-ჯავახეთის „ტაო“.

# ილია და გურულები

## ამბავი ნინო ნაკაშიძის ილიასთან ურთიერთობისა

საინტერესო წიგნის გაციფრულება დავიწყე. საერთოდ მე რასაც ვაციფრულებ ვცდილობ წავიკითხო. კორექტურასაც ვასწორებ შიგადაშიგ. ნინო ნაკაშიძის 1946 წელს მზის შუქზე გამოსული „მოგონებანი" კარგი კრებულია. ნიჭიერი და რაც მთავარია, განათლებული ქალბატონის დაწერილი. ზუსტად ისე წერს, როგორც მე ამდენი წელია ვცდილობ დავწერო.

გუშინ ხსენებული კრებულიდან (ხანდახან ისე მინდა ბოლო ასო-ბგერა „ნ" - „მ"-თი შევცვალო, მიზეზი კი მაქვს, მაგრამ აქ არ დავასახელებ) „ლუარსაბ ბოცვაძე" გავაციფრულე. დღეს, ნ. ნაკაშიძის კიდევ ერთ მოგონებას „ილია ჭავჭავაძის გარშემო" ვაციფრულებ, ცოტა დაგვიანებით სწავლის დაწყებას ვულოცავ მოსწავლეებსა და სტუდენტებს (განსაკუთრებით, პირველკლასელებსა და პირველკურსელებს, მასწავლებლებსა და ლექტორებს, (ძალიან ნუ დანძრახავთ თუ უპირველეს ყოვლისა ჩემი მასწავლებლები მახსენდება...), ილია ყველას აერთიანებს. მიუხედავად იმისა თუ როდის გახდება შენი... სწორედ მათ ეძღვნებათ ორდღიანი დამღლელი, მაგრა მენდეთ, ძალზე სასიამოვნო შრომა.

„როდის გახდება შენი", არა მაგრამ „როდის გახდა ჩემი" მეტად საინტერესო გაფიქრებაა... სწორედ ეს კითხვა დაუსვამს ქალბატონ ნინოს ხსენებული მოგონების წერისას. მე ამ კითხვის დასმა არ მჭირდება, უკვე დავწერე და აქ აღარ ვაპირებ განვმეორდე... სხვათაშორის, სიტყვა „განმეორდე" არ მიყვარს, მაგრამ ვტოვებ, რადგან ვფიქრობ ზუსტად გამოხატავს საქმის არსს... ზემოთქმულ კითხვას კიდევ დავუბრუნდები, სულ ახლახან ლუარსაბ ბოცვაძე ვახსენე და დაპირებული ორი გურულიდან სწორედ, ბატონი ლუარსების ბიოგრაფია გაგახსენოთ, რისტვისაც - საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მედია-ენციკლოპედიია „ბიბლიოვიკის" შესაბამის გვერდს უნდა მივაკითხო და აქ, სრულად მოვიტანო, ბოლოს და ბოლოს, არა მხოლოდ გურული, არამედ ჟურნალ „განათლების" დამაარსებელი იყო.

„ბოცვაძე ლუარსაბ გერასიმეს ძე - (4.I.1866, სოფელი ნოღა - 24.VI.1919, თბილისი) - ქართველი პედაგოგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე.

დაამთავრა ხონის საოსტატო სემინარია და იმავე წელს დაადგა მასწავლებლობის გზას. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო წყალტუბოს სკოლაში, სადაც 3 წელი დაჰყო, რის შემდეგაც წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს. 1908 დააარსა ყოველთვიური პედაგოგიური ჟურნალი „განათლება", რომელსაც რედაქტორობდა 1908-1918 წლეში. 1890 წლიდან გარდაცვალებამდე იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი.

ბოცვაძეს ეკუთვნის 350-მდე პედაგოგიური ნაშრომი და სტატია, სასწავლო პროგრამები სახალხო სკოლებისათვის. ბოცვაძის პედაგოგიური შეხედულებების საფუძველია ხალხურობის იდეა: საყოველთაო-სავალდებულო და უფასო სწავლება ყველა ბავშვისათვის; ქალისა და ვაჟის თანასწორი განათლება; სწავლება ცხოვრების რეალურ მოთხოვნათა გათვალისწინებით; მშობლიური ენის მთავარი ადგილი სწავლებაში; პატრიოტიზმისა და შრომისმოყვარეობის აღზრდა; რუსული ენის სწავლება რუსული და ევროპული კულტურის დაუფლებისათვის.

ბოცვაძე აკრიტიკებდა „თავისუფალი აღზრდის" თეორიას. აღზრდა მიაჩნდა ორგანიზებულ, მიზანმიმართულ პროცესად, რომელიც მიმდინარეობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გონებრივსა და მორალურ აღზრდას ყველასათვის. აღზრდის მთავარ საშუალებად ბოცვაძეს მიაჩნდა შრომა; შრომითი აღზრდის მიზანი, მისი აზრით, პროფესიული მომზადება კი არ იყო, არამედ აღსაზდრელის შრომითი ჩვევების, შრომის უნარის გამომუშავება. მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ბოცვაძე წამყვან როლს ანიჭებდა სკოლას. მან გააკრიტიკა მაშინდელი სკოლა, წამოაყენა ახალი სკოლის პრინციპები: სკოლის კავშირი ცხოვრებასთან, სწავლების საერო ხასიათი, სკოლისა და ოჯახის კავშირი აღზრდის საქმეში, მასწავლებლის წამყვანი როლი აღზრდისა და სწავლების პროცესში, მასწავლებლის მუშაობის ჰუმანური მეთოდები. ბოცვაძე სწავლებისა და განათლების თეორიაში კ. უშინსკისა და ი. გოგებაშვილის მიმდევარი იყო. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. მასთან პანთეონში დასაფლავებულია მისი მეუღლე - ნინო იოსების ასული ბაქრაძე (1883, თბილისი - 5.IX.1971). (დოდო ჭუმბურიძე)."

**გაგრძელება, დასაწყისი „ალიონი" №24,25**

„მოგონებანის" ილიას ნაწილი რამდენიმე ქვენაწილისგან შედგება. დღეს მხოლოდ 15 გვერდი. გავაციფრულე და მეტად საყურადღებო რამდენიმე ამონარიდი აქ რომ არ მოვიტანო არ გამოვა...

საქმე ხომ ილიასადმი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დამოკიდებულებას ეხება და მაინც „გული არ მითმენს" ილიას ლუარსაბ ბოცვაძესთან დამოკიდებულების ორ ნათელი მაგალითს (მითუფრო, ერთი სექტემბრის თვეში მომხდარ ამბავს ეხება) გვერდი ავუარო.

„ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანეს" კალენდრით 1897 13 სექტემბერია.

„ილია ჭავჭავაძე და დავით კარიჭაშვილი წერილობით უცხადებენ მადლობას ლუარსაბ ბოცვაძეს იმისათვის, რომ საგანგებოდ გამართულ კურსებზე სამაგალითო გაკვეთლები ჩაუტარა სამრევლო სკოლათა მასწავლებლებს" („მატიანეშივეა" მითითებული ფაქტის დამადასტურებელი ორი წყარო (ი. ჭავჭავაძე, წერილები (ი. ბოცვაძის რედ.), სოხუმი, 1949, გვ. 88-90; ი. ჭავჭავაძე, თსკ ოც ტომად, ტ. 17, 2012, გვ. 182, 458.))

დარწმუნებული ვარ გურულებისთვის ზედმეტი არ იქნება ამ წერილის (გაგზავნილია „ქშწ-კგ საზოგადოების" სახელით, დაწერილია შტამპიან ქაღალდზე.) გაცნობა/გახსენება, ამიტომ, არ გადავდებ და სიამოვნებით მოვიყვან სრულად:

*„13 ენკენისთვეს, 1897 წ. ქ. თბილისი.*

*მოწყალეო ხელმწიფევ,*

*ლუარსაბ გერასიმეს ძევ!*

*წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა რა თავის სხდომაზე 9 ამ თვისას მოხსენება მდივნისა იმის შესახებ, რომ თქვენ გამგეობის მინდობილობისამებრ დაესწარით ამ ზაფხულს ტფილისში სამრევლო სკოლათა მასწავლებელთათვის გამართულს პედაგოგიურს კურსებზე და აძლევდით სამაგალითო გაკვეთილებს, დაადგინა, გამოგეცხადოსთ მადლობა შრომისათვის.*

*საზოგადოების თავმჯდომარე: ილია ჭავჭავაძე*

*მდივანი: დავით კარიჭაშვილი"*

კიდევ ერთი წერილი მინდა გავაცნო-/გავახსენო გურულებს:

წერილის გაგზავნის ზუსტი თარიღი სამწუხაროდ ცნობილია არ არის, თუმცა ვიცით, რომ „მატიანესი" 1898 12 მარტამდე თარიღდება:

*„მარტი-აპრილი, [1898 წელი].*

*ბატონო ლუარსაბ!*

*დიდი სიამოვნებით ვბეჭდავთ თქვენს წერილს ჟურნალ „ჯეჯილზედა". ასეთი მიმოხილვები დიდად და დიდად საჭიროა ჩვენთვის. საბავშვო მწერლობის გაჯანსაღება და მკვიდრ საფუძველზე დამყარება დიდი მნიშვნელობის საქმეა ჩვენი ყმაწვილების გონივრულად აღზრდისათვის. უმორჩილესადა გთხოვთ ნუ მოაკლებთ თქვენს ფხიზელს ყურადღებას ჩვენს საბავშვო მწერლობასა და ხშირად გამოგვიგზავნეთ თქვენი კალმის ნაღვაწი.*

*დავშთები მუდამ თქვენი პატივისმცემელი*

*ილია ჭავჭავაძე"*

„გეყურებათ" : „დავშთები მუდამ თქვენი პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე"-ო - წერს ილია და სიამაყით ვკითხულობ, ნეტა რამდენ ადამიანს დაუდასტურებდა ილია ასეთ პატივისცემას?!

სიტყვა გამოგრელდა!

დაპირებული ამონარიდებს უნდა მივუბრუნდე.

მეტად საინტერესოა მენდეთ...

„ახლა ვიცით, რომ მისი ჩანგი ძლიერად ჟღერდა სამშობლოსათვის, მაგრამ იყო დრო, როცა სხვადასხვაგვარად განწყობილ თანა-მედროვეთა გულში ეს ჩანგის ჟღერა, როგორც გრიგალი ზღვაში, იწვევდა გრძნობათა აფორიაქებას და მღელვარებას, მღელვარებას მისდამი ღრმა სიყვარულისას და უარყოფისას.

როგორც ზღვის მიმოქცევა, ისე ი. ჭავჭავაძის თანამედროვეთა გულში იცვლებოდა სიყვარულისა და სიძულვილის გრძნობათა ღელვა და თანამედროვეობამ ვერ მოახერხა მისდამი ურყევი აზრის დამყარება-გამომუშავება.

მხოლოდ მისმა სრულიად მოულოდნელმა, „ულვთო" სიკვდილმა, რომელიც მეხივით გავარდა მოულოდნელად მთელ საქართველოში, მედგრად დაიჭექა და გამოაფხიზლა მთელი ერი. თითქოს, წიწამურის საშინელი ტრაგედია იყო საჭირო, რომ ყველა ქართველის გულში ანთებულიყო ი. ჭავჭავაძისადმი სიყვარულის ჩაუქრობელი ლამპარი.

მე მაგონდება მწერალ ეკატერინე გაბაშვილის წინასწარმეტყველური სიტყვა ილიას გამოსვენების დღეს საგურამოდან: „დიდო ილიავ, შენ ვერ დაგაფასა თანამედროვეობამ, მაგრამ მომავალი თაობები გაიგებენ, თუ რა დიდი ადამიანი იყავი და რა გააკეთე შენ ქართველი ხალხისათვის და სამშობლოსათვისო", და განა ეს ახლა ცხადი არ არის ყველასათვის?

მე კი უნდა ვთქვა, ჩემდა სასწუხაროდ, რომ ჩემი ცხოვრებაც ვერ ასცდა დიდი ილიას ღვაწლის დაფასებისა და დაუფასებლობის მიმოქცევას."

მეტა რამდენი ადამიანი „ასცდა დიდი ილიას ღვაწლის დაფასებისა და დაუფასებლობის მიმოქცევას."?!

ბევრი?!

ცოტა?!

არ ვიცი, რაც ვიცი „ჩემი ადგილი" „ცოტაშიც" რომ გამოინახება და მით უფრო „ბევრში"!

„მოგონებანის" „გურული ნაწილის" დროა!

საკმაო გვერდები ეთმობა ნაფიქრსა და განსჯილს და მაინც, მიზეზთა გამო მოგვიანებით მივუბრუნდები, ახლა კიდევ ერთი ამონარიდი მინდა შემოგთავაზოთ.

მაშ ასე!

*„ეს მოხდა პეტერბურგში...*

*1895 წლის ზამთარში მე და ჩემი მეუღლე, ილიკო ნაკაშიძე, მაშინ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი, რესტორან „კიუბაში" სადილად დაგვპატიჟა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ. მელიტონი მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა და სტუდენტთა საზოგადოებაში ტრიალებდა. სტუდენტებს უყვარდათ მელიტონი. ამბობდნენ: მელიტონი ქართულ რომანსებს წერს და ქართული ოპერის დაწერასაც აპირებსო.*

*სადილად ცალკე კაბინეტში ვისხედით. მელიტონი სულ მუსიკაზე ლაპარაკობდა. ამბობდა:*

*— ქართველებს ოპერა არ გვაქვს და მინდა დავწერო, მაგრამ ისეთი თემა უნდა გამოვნახო, რომ მთელი ჩვენი ერის გენია გამოჩნდესო. მუსიკა ჩვენი მდიდარია, მხოლოდ დამუშავებული არ არის. ჩვენ მუსიკას მხოლოდ იტალიური მუსიკა თუ გაუწევს მეტოქეობას, თორემ, ფრანგული ვერ შეედრებაო. აქებდა უკრაინულ მუსიკას, ამბობდა: ჰანგები საუცხოო აქვთ, მხოლოდ იმათი სევდიანი მუსიკა სჯობს მათ მხიარულ მუსიკასო, აიღეთ ჩვენი ქართული სიმღერები, პირდაპირ შედევრებია: სევდიანიც და მხიარულიც. მაგალითად: რომელი ხალხის სიმღერა შეედრება ჩვენ სვანურ სიმღერას „ლილეს". აიღეთ, თუ გინდა, „ხელხვავი" — გურული სიმღერა, თუნდ „ნადური", ვისა აქვს ისეთი გამყივანი „ია-უა" გურული რომ დასძახებს... ეს შედევრია, შედევრი...*

*ცოტა ხანს დაჩუმდა და მერე განაგრძო:*

*— მე მინდა ოპერის თემად ავიღო „მეფე დიმიტრი თავდადებული", უწინ ვფიქრობდი „დედა და შვილზე" შევჩერებულიყავი, მაგრამ ოპერისათვის ძალიან პატარაა. დიდი ხანია მაქვს კიდევ ერთი თემა აკაკის „თამარ ცბიერი"... შენ რას ფიქრობ, ილიკო?*

*ილიკომ უპასუხა:*

*— მე ძალიან ცუდი მუსიკოსი ვარ, მელიტონ. შენ წარმოიდგინე, „ყარანაის" მეტი სიმღერა არ ვიცი.*

*— არა, კაცო, იქნება მამაშენისაგან გაგიგონია, ილია და მამაშენი ხომ დიდიხნის მეგობრები არიან. იქნება, უთქვამთ რამე ქართული - ოპერის შესახებ.*

*ილიკომ უთხრა, რომ როგორც ვიცი, ილიას და მამაჩემს ჰქონიათ ლაპარაკი ქართული ოპერის შესახებ, ორივეს მწუხარება გამოუთქვამთ, კომპოზიტორი არ მოგვეპოებაო.*

*— ეჰ, შე კაცო, მერე შენ ვერ უთხარი რომ მე აქ ვიყავი? — იოხუნჯა მელიტონმა.*

*ილიკომ ურჩია, რომ თვითონ მელიტონს მიემართა ილიასათვის.*

*— ოჰ, მეც ასე ვფიქრობ, — თქვა მელიტონმა,—მაგრამ იმასაც ამბობენ, ილიას მუსიკის არაფერი გაეგებაო. მაინც ჯერ მე საბოლოოდ თემის არჩევანზე უნდა შევჩერდე. „დიმიტრი თავდადებულში" საოცარი ადგილებია ოპერისათვის: ერთი ის რად ღირს, როდესაც თათბირი აქვს მეფეს დიდებულებთან, როდესაც ყველა ღელავს და მეფე თავის გადაწყვეტილების გასამართლებლად მიმართავს მღვდელმთავარს.*

*ის ადგა, ორივე ხელი გასწია ილიკოსაკენ და მიმართა მას სიმღერით:*

*„შენ რას იტყვი, მღვდელმთავარო,*

*სიტყვა შენი გვიღირს ძვირად!".*

*ილიკო სწრაფად წამოდგა, თითქოს, ისიც აპირებდა სიმღერით პასუხის მიცემას.*

*— თუ ღმერთი გწამს, ილიკო, „ყარანაი" არ იმღერო, — უთხრა მელიტონმა სწრაფად ილიკოს და ორივემ გადაიხარხარა. — აქ რაღაც სერიოზული და დამაჯერებელი პასუხია საჭირო, განაგრძო მან, რაღაც დიდებული, საგულდაგულო მუსიკა უნდა, რომ სავსებით ასახოს მდგომარეობა. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ვინ მოგცემს ახლა მღვდელმთავრის სცენაზე გამოყვანის ნებას... ესეც ცოტა არ იყოს, ხელს მიშლის და მინელებს წერის სურვილს.*

*— შენ დასწერე, მელიტონ, და მანამდის...*

*— ეჰ,— გაიცინა მელიტონმა, — შენც არჩილ ჯორჯაძესავით ლაპარაკობ,— ამბობს: სანამ შენ მაგ ოპერას დასწერდე, ვინ იცის, რა მოხდებაო. ხედავ, რამდენ სტუდენტს იჭერენ, იქნებ, რევოლუცია მოხდესო. მაგრამ ახლა ისიც კია, რომ ილია ჭავჭავაძე თანდათან კარგავს პოპულარობას და მისი პოემის აღება თემად...*

*— მართალია ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ენერგიით შთანთქა ბანკის საქმიანობამ, მაგრამ არა მგონია, რომ ის, რაც დასწერა, იმან დაკარგოს მნიშვნელობა. შენ ვერ წარმოიდგენ, მელიტონ, რა კოლოსალური ჭკუა აქვს ილიას...— მიუგო ილიკომ.*

*— აბა, რა ვიცი, აქ, სტუდენტები კი აკრიტიკებენ...*

*ერთ წუთს დრო გაჰკვეთა ჩემში მოგონებამ და თვალწინ დამიდგა „დიმიტრი თავდადებულის" კითხვა სკოლაში. ჩვენი ტირილი დიმიტრისათვის, ცოცხლად აისხა მისი სულიერი განცდა და ისევ მომწყურდა „დიმიტრი თავდადებულის", „კაკო ყაჩაღის" და „გლახის ნაამბობის" ავტორის, ილია ჭავჭავაძის, ნახვა, მისი ხმის გაგონება. ვეღარ მოვითმინე, და ვთხოვე:— არა, ბატონო მელიტონ, დასწერეთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენს და რა მადლობელი იქნება თქვენი ხალხი. და ის, ვინც ახლა მას აკრიტიკებს — გაიგებს, რომ ილია ჭავჭავაძეც გასწირავს თავს ხალხისა და სამშობლოსათვის, თუ ამას მოითხოვს მდგომარეობა... მე ასე მგონია, — დავუმატე მე.*



**(გაგრძელება იქნება)**

**გიო კილაძე**

# მურთაზ აბაშიძის ხსოვნას

1992 წლის სუსხიანი დეკემბერი იდგა. სახლში ჩემი ბავშვობის მეგობარი და მეზობელი თემურ გოგუაძე მესტუმრა და მითხრა: —ხვალ, საღამოს გადაღმა ექადიაზე თანამებრძოლები ვოვა ბურაკოვთან ვიკრიბებით და შენ გვინდა მოხვიდეო.

მართლაც დათქმულ დროს მათთან ვიყავით. თემურისა და ვოვას გარდა მათთან მურთაზ აბაშიძე და ავთო ჩავლეიშვილი იმყოფებოდნენ.

ისინი აფხაზეთში იბრძოდნენ და რამდენიმე დღით ოზურგეთში იყვნენ ჩამოსულნი. მურთაზის და ავთოს ჭრილობები ჰქონდათ მიღებული. ღვინოს არავინ მიძალებია, მით უმეტეს მურთაზი, რომელიც მუდამ სპორტული ცხოვრებით ცხოვრობდა.

ისინი ყვებოდნენ სევდიან ისტორიებს, საბრძოლო მოქმედებების შესახებ ტამიშთან ბრძოლაზე (თავად ქეთევანას იცავდნენ), რუსების ვერაგობაზე და ჩრდილო კავკასიელი ბოევიკების დაუნდობლობაზე მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. რაზმს მურთაზი ხელმძღვანელობდა იგი ძალიან გამოცდილი მებრძოლი იყო .. ჭრილობის მოშუშების შემდეგაც იბრძოდა აფხაზეთში...იყო 2008 წლის ომშიც..

მურთაზი პოპულარული და წარმატებული ფეხბურთელი იყო. გასული საუკუნის 70-იან წლებში ბევრ გუნდში ჰქონდა ნათამაშევი.

*—ოდესის „ჩერნომორეცში“ ვთამაშობდი. გაზაფხულის პირი იყო და მეზღვაურთა გუნდი თბილისის „დინამოს“ უნდა შეხვედროდა. ვიცოდით დაძაბული შეხვედრა გველოდა.*

*დუბლებში „შემამოწმეს“ თანამემამულეებთან. სპორტი სპორტია და 5 : 3 დავამარცხეთ „დინამოელები“. პირველი გოლი მე გავიტანე. მახსოვს თბილისელთაგან გივი ნოდიამ გაიტანა ორი გოლი.. მეორე დღეს სასტიკი ბრძოლა გაიმართა. ოდესელი როდიონოვის გოლი ქანთარიამ გაქვითა. ოდესელები კვლავ წინ წავიდნენ. 87-ე წუთზე კახი ასათიანმა ანგარიში გაათანაბრა და 2:2 დასრულდა ეს მატჩი. როგორც ჩანს „დინამოს“ მწვრთნელებს მოვეწონე და მათთან მიხმეს...*





ოზურგეთის „მერცხალში“ ნახევარმცველია ამპლუაში იყო და ხშირად გაჰქონდა გოლები.

—70-იან წლებში „მერცხალი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი იყო საქართველოში, რომელიც საკავშირო პირველობის მეორე ლიგაში გამოდიოდა. შემდეგ კი საქართველოს პირველობაზე.

*— ჩემს გვერდით მართლაც მაგარი ფეხბურთელები თამაშობდნენ: გულო ჩემინავა, როლანდ ისიანი, პაპუნა ნემსაძე, ჯონი კაკალაძე, გიზო გუჯაბიძე, მერაბ სარიშვილი, ტატო წიკლაური, ბადრი ლომინაძე, მერაბ ღლონტი. ერთი სეზონი მერაბ მეგრელაძესთანაც ვითამაშე* —იხსენებდა იგი.

1975 წელს ლანჩხუთის „გურიამ“ საკუთარ მოედანზე „მერცხალი“1: 4 დაამარცხა. მეორე წრის მატჩში ოზურგეთელები რევანშისათვის მოემზადნენ.

მასპინძლებმა მაღალი ტემპით დაიწყეს თამაში. მათ მეტოქე აჰყვა და მინდორზე საინტერესო, დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. ტაიმის ბოლოს სტუმრების მეკარემ მურთაზ აბაშიძის უძლიერესი დარტყმა ვერ მოიგერია და გოლი გავიდა. ეს გოლი ერთადერთი დარჩა ამ მატჩში.

70-იანი წლების ბოლოს რაიონულ გაზეთში დავიწყე მუშაობა და სპორტული განყოფილება ჩამაბარეს. ადრეც და იმჟამადაც თითქმის ყველა მატჩს ვესწრებოდი. იყო შემთხვევა, გაზეთზე მორიგეობა მიწევდა და ჩემს მეგობარს, ფეხბურთის ფანატს ზურაბ მუხაშავრიას ვთხოვდი ინფორმაცია მოეწოდებინა.

მახსოვს, შეკითხვაზე, თუ ვინ გაიტანა ოზურგეთელთაგან გოლი, ასე მპასუხობდა: — *რა თქმა უნდა მურთაზ აბაშიძემ!*

11 სეზონის მანძილზე იცავდა მურთაზი „მერცხალის“ ღირსებას. აქვე დაოჯახდა და ვეტერანთა რიგებში გადანაცვლების შემდეგ ერთ-ერთი ინიციატორი იყო ოზურგეთში ვეტერან ფეხბურთელთა კლუბის ჩამოყალიბებისა, მხარში ედგა კლუბის პირველ პრეზიდენტს კოტე გოგატაძეს.

1983 წელს ძმებმა მურთაზ და სოსო აბაშიძეებმა მშობლიურ ხარაგოულში საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა“ დაარსეს. გუნდი იმჟამად საქართველოს პირველობის დასავლეთის ზონის „ბ“ ლიგაში გამოდიოდა. შემდეგ ეს გუნდი „ა“ლიგაში გადავიდა. მადლიერმა ხარაგოულელებმა „ჩხერიმელას“ ლამაზ სტადიონს სოსო და მურთაზ აბაშიძეების სახელი მიანიჭეს.

ცალკე თემაა ვეტერან ფეხბურთელთა კლუბი „ბერმუხა“, რომელმაც ვეტერანების ტურნირებზე არაერთხელ გაიმარჯვეს. „ბერმუხამ“ რამდენჯერმე გაიმარჯვა ბათუმში გენო მენაბდის და ქობულეთში ანზორ შამათავას სახელობის ტურნირებზე. აქაც აწყობდნენ მსგავს ტურნირებს. მურთაზის ინიციატივით ოზურგეთის სპორტის სასახლეში 2009 წელს ცნობილი ფეხბურთელების ტოგო დუმბაძისა და ვალერიან გეგიაძის ხსოვნის ტურნირი გამართეს.

ომით დავიწყეთ და ამ თემით უნდა დავამთავროთ.

მურთაზი წუხდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლებს არ ჰქონდა სათანადო დაფასება. მან ომში დაღუპულთა პატივსაცემად გრანიტის ობელისკი აღმართა ეკლესიის წინ მდებარე პარკში. ამ ძეგლის გახსნაზე ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იმყოფებოდა.

ბოლოს ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის დირექტორი იყო ...

უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

---

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს ქალბატონ როზა გოგუაძეს მაზლის, **იბრაგიმ შარაშენიძის** გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეგობრები: იამზე კილურაძე, ლელა დვალიშვილი, ნონა ღლონტი, გულსუნდა მახარაძე თანაუგრძნობენ როზა გოგუაძეს, კონსტანტინე და თინათინ შარაშენიძეებს უსაყვარლესი მაზლისა და ბიძის, უკეთილშობილესი პიროვნების, **იბრაგიმ შარაშენიძის** გარდაცვალების გამო.

---

# სკანვორდი



ნათლისღების სარიტუალო ჭურჭელი

სპორტის სახეობა

ჯიბე

ზღვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში

უდიდესი კუნძული

დამშვიდობება

სითბოს საზომი

მეფის საკუთრება

სათავადაზნაურო ტიტული

გამოქვაბული

ტელესკოპის გამომგონებელი

გეომეტრიული სახელწოდება

ქალის საცხენოსნო კაბა

ავსტრიული ფულის ერთეული

იღბალი

სანათი

ფრინველი

სამაგიდო თამაში

ხის

მონა

ღირსება

დაბა საქართველოში

სწრაფი

ნახატი ბუნების ხედით

მუსიკალური მიმდინარეობა

პროპელიანი კაცუნა

## პასუხები:

სურათზე: დავით გურამიშვილი; ზღვის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში –ნეპტუნი; ნათლისღების რიტუალის ჭურჭელი –ემბაზი; უდიდესი კუნძული–გრენლანდია; ტელესკოპის გამომგონებელი –გალილეი; სითბოს საზომი –ჯოული; ავსტრიული ფულის ერთეული –შილინგი; ქალის საცხენოსნო კაბა –ამაზონი; სპორტის სახეობა –ჰოკეი; მეფის საკუთრება –სეფე; სათავადაზნაურო ტიტული –გრაფი; დამშვიდობება –ჩაო; ნახატი ბუნების ხედით –პეიზაჟი; სამაგიდო თამაში –ნარდი; სწრაფი –სხარტი; ღირსება –რეპუტაცია; სანათი –ჩირაღდანი; ფრინველი –კოდალა; მუსიკალური მიმდინარეობა –ბლუზი; პროპელიანი კაცუნა –კარლსონი; გეომეტრიული სახელწოდება –ქორდა; დაბა საქართველოში –სურამი; იღბალი –ბედი; ხის –ღერო; მონა-ყმა; გამოქვაბული –ღრუ; ჯიბე-უბე.

# ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)




## რა მიზეზებისა გამო დაშორდნენ ერთმანერთს მღვდელი და ერი?

რომ მღვდელსა და ერს შორის, განსაკუთრებით მღვდელსა და ინტელლიგენციას შორის განცალკევებამ მიაღწია უკიდურეს საზღვრამდის, ეს ყველასათვის ცხადია, ამას აღიარებს თვით სამღვდელოება. აწინდელი მწყემსი არ გრძნობს თავს „სამწყსოსთან“ ერთად, უკანასკნელიც არ სცნობს მწყემსს თავის ხელმძღვანელად, სულიერს მამად, უყურებს მას, როგორც ცხოვრების ახალ მიმართულების მტერს და შორს გაურბის.

ვეცდებით, მიუდგომლად გამოვარკვიოთ სამწყსოს მიერ მწყემსის ათვალწუნების მიზეზები.

როგორც ეხლა, ისე ძველად სამღვდელოება იყოფოდა ორს ნაწილად: შავს სამღვდელოებად, რომელსაც შეადგენდნენ ბერები და თეთრს სამღვდელოებად, რომელსაც ეკუთვნოდნენ საკუთრივ მღვდლები. ბერები მღვდლებზედ გაცილებით უფრო განათლებული იყვნენ. პირველნი ცხოვრობდნენ განცალკევებით მონასტრებში და თითქმის მთელ თავისს სიცოცხლეს ატარებდნენ მწიგნობრობაში და სწავლა-განათლების გავრცელებაში. ამ მონასტრებში სწავლობდნენ თვით მეფის ძენი, თავად-აზნაურნი, სამღვდელო ხარისხის მისაღებად განმზადებულნი და სხვ.

მღვდლები, როგორც ეხლა, სცხოვრობდნენ ხალხში, რომელსაც გადასცემდნენ მონასტერში მიღებულ ცოდნას. იგინი გლეხებივით ეკუთვნოდნენ მიწის მომუშავე კლასს, იღებდნენ მონაწილეობას ყოველნაირ სასოფლო საქმეში, იყვნენ ისეთივე ღარიბ-ღატაკნი და უშნო-ულაზათონი, როგორც გლეხები, ხოლო ღრმად მორწმუნენი, ფრიად მტკიცენი სარწმუნოებაზე. მღვდლის ოჯახი სცხოვრობდა იმ სახითვე, როგორც სცხოვრობს გლეხ-კაცი, საჭმელ-სასმელად მას ჰქონდა იგივე, რაც გლეხს, მისი სტუმარი იყო გლეხი, უკანასკნელი იყო მისი მასპინძელი. მოთხოვნილება და ჩვეულება ჰქონდათ ერთნაირი. ამის მიუხედავად, სამღვდელოება ირიცხებოდა მოწინავე წოდებად და იყო ყველასგან, როგორც დიდკაცობისა, ისე მდაბიო ხალხისაგან, ფრიად პატივცემული. ეს მარტო იმით-კი არ აიხსნება, რომ მაშინ ხალხი უფრო მორწმუნე იყო, არამედ იმით, რომ სამღვდელოება განათლებით თითქმის ყველა სხვა წუდებაზე მაღლა იდგა, სწავლა-განათლების გამავრცელებელნი იყვნენ თითქმის მარტო სასულიერო პირნი.

მღვდელსა და ერს შორის კედლის ამართვა დაიწყო გასული საუკუნის მე-60 წლებიდან, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ; უფრო-კი შესამჩნევად დაშორდა ერთმანერთს ეს ორი წოდება იმ დროიდგან, როდესაც სწავლა-განათლების გასავრცელებლად შემოღებულმა საერო სკოლებმა მაგრად მოიკიდეს ფეხი.

1. მღვდელსა და ერს შორის ერთობას ხელს უწყობდა ბატონ-ყმობა. ეს ტვირთი ერთსაცა და მეორეს ერთნაირად აწვა და სჩაგრავდა. ამისთვის ლხინი და ჭირი იყო საზოგადო, ერთსაცა და მეორესაც ინაწილებდნენ და ამ რიგად უსუბუქებდნენ ერთმანერთს ცხოვრების ტვირთს. ნათქვამია, რომ ისე არა აახლოვებს-რა ადამიანებს, როგორც მწუხარება და უბედურება; მაშინ ვგრძნობთ, რომ ჩვენ გვაქვს რაღაცა საერთო, საზოგადო, რომ ჩვენ ვართ ერთმანერთთან დაახლოვებულნი. გაიარა საზოგადო მწუხარებამ, ყმა გადაიქცა მესაკუთრედ, შეუდგა მიწის შემუშავებას და დაიწყო თავისთვის ცხოვრება. მღვდელი-კი თითქმის სრულიად განთავისუფლდა შრომიდან და დააწვა კისერზე გლეხს. უწინ ის სთხოვდა მრევლს დახმარებას მიწის შემუშავებაში და მრევლი კიდეც ეხმარებოდა. შემდეგში-კი მღვდელს „დრამამ“ და სახაზინო ჯამაგირმა მისცა საშუალება, ქირით ეკეთებინა საქმე. ამ გარემოებამ აგრძნობინა მღვდელს თავისი თავი დამოუკიდებლად, თითქმის ბატონად. საეკლესიო წესების შესრულებაში ის იღებს ფულს და ამ მხრივ ის მაინც დამოკიდებულია მრევლისაგან, მაგრამ აქ ისე მოაწყო საქმე, რომ მრევლმა დაუწყო ყურება წესის შესრულებას, როგორც შრომას, რომელიც დასაჩუქრებული უნდა იყოს. ამნაირად „დრამამ“ და ჯამაგირმა გამოყო სოფლის მღდელი გლეხთა წრისაგან და დაბადა სრულიად განსაკუთრებული წოდება, რომელიც თავისი გარეგანი ცხოვრებით და სულიერი მოთხოვნილებით უახლოვდება ესრედ წოდებულს ბურჟუაზიას. ასე თუ ისე, ჭეშმარიტებაა, რომ ეკონომიური ფაქტორი არის ერთი იმ უმთავრესი მიზეზთაგანი, რომელმაც აღმართა კედელი მღვდელსა და მრევლს შუა.

2. უწინ, როგორც ზევით მოვიხსენეთ, სწავლა-განათლების წარმომადგენელი იყო სამღვდელოება. შემდეგში მისი ადგილი დაიკავა ინტელლიგენციამ. სამღვდელოებამ ადვილად არ დაუთმო თავისი ადგილი იმას, იგი შეებრძოლა მას და საეკლესიო კათედრიდან დაუწყო კიცხვა ევროპიულ განათლებას, საერო ხელოვნება და მეცნიერება გამოაცხადა მავნედ. ინტელლიგენციამ მისცა პასუხი. სამღვდელოება მალე დარწმუნდა, რომ ის საკუთარის ძალებით ვერას გახდებოდა ევროპიულად განათლებულ ინტელლიგენციასთან, ამისთვის მიეკედლა მთავრობას და დაუწყო მას გუნდრუკის კმევა და მტკიცება თავის ერთგულობისა. მთავრობამ მიიღო სამღვდელოება თავის მფარველობის ქვეშ და დაუწყო ქომაგობის გაწევა. ამისთვის ოფიციალურად სამღვდელოება მუდამ იმარჯვებდა. ამ გვარმა საქციელმა მეტის-მეტად გააბრაზა მოწინავე საერო საზოგადოება და რომ საგრძნობელად გადაეხადა ბადალი და სრულიად დაემცირებინა, დაუწყო კიცხვა არა თუ მარტო სამღვდელოებას, არამედ იმ საქმესაც-კი, რომელსაც ემსახურებოდა – ეკლესიას და სარწმუნოებას. აქ ნათლად გამოჩნდა, რომ სამღვდელოება იყო გაუნათლებელი, მოუმზადებელი საბრძოლველად. მან მარტო მოგერება-ღა დაიწყო, მაგრამ ეს მოგერებაც ერთობ უხერხული იყო. ის დარწმუნდა, რომ ვერც სხვის დაქომაგებით გახდება რასმეს ინტელლიგენციასთან და პირველობასაც ვეღარ დაიბრუნებდა. ამიტომ ჩაიკეტა თავის სახლში და მარტო იმას-ღა ცდილობდა, რომ უბრალო ხალხი მაინც არ გამოსცლოდა ხელიდან, ამაზედ მაინც არ დაკარგოდა გავლენა.

3. სამღვდელოებამ მოისურვა, დაეშორებინა თავიანთი შვილები ერის კაცების შვილებისგან, რომ მათ არ მიეღოთ „მავნე“ ევროპიული სწავლა. ამისთვის მან გახსნა საკუთარი სასწავლებელი და მაგრად ჩაკეტა შიგ თავისი შვილები. მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა სამღვდელოებას. სემინარიის კედლების ჯურღუტანებშიაც ნიავმა შეიტანა „მავნე სწავლა“ და ეს „სენი“ გადასდო მოზარდ თაობას. ბევრჯელ უყვეს სემინარიის ოთახებს „დეზინფექცია“, მაგრამ ტყუილად. „სენმა“ აქაც მაგრად მოიკიდა ფეხი. საუკეთესო ძალებმა მღვდლობას სხვა სარბიელზე მოქმედება ამჯობინა, სულიერს მამებად-კი წავიდნენ უმეტესად გონება განუვითარებელნი და ზნეობის მხრით არც თუ მაგდენად საქებნი. ან კი შეუძლიან ჩვენს სასულიერო სკოლას აღზარდოს ნამდვილი მოძღვარი?! სამწუხაროდ, არ შეუძლია. ეს სკოლები დამყარებულია ისტორიაზე, წარსულზე. იგი არის თეორიული, იქ მოწაფეებს აძლევენ, გადასცემენ მშრალს, უსიცოცხლო, სხოლასტიკურს ცოდნას! იქ აცნობებენ კლასიკურს იდეალებს და ყურადღებას არ აქცევენ სახალხო თანამედროვე იდეალებს – ხალხის ნამდვილს ცხოვრებას, მის აუცილებელს საჭიროებას და არსებითს ინტერესებს. ამისთვის, საკვირველი არ არის, რომ ათი-თორმეტი წლის სწავლის შემდეგ ამ სკოლაში ნამოწაფარი, როდესაც მღვდლის ხარისხით ხვდება პირის-პირ ხალხს, ვერც-კი ახერხებს მასთან დალაგებულს ლაპარაკს. მღვდელი გრძნობს, რომ იგი არ არის მომზადებული იმ საქმისთვის, რომელიც იტვირთა და იკეტება თავის სახლში. მის წირვა-ლოცვას, წესების ასრულებას, მრევლთან საუბარს აქვს ოფიციალური ხასიათი. მრევლიც, რასაკვირველია, ხედავს ამას და შორს გაურბის თავის მოძღვარს. სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ ამ სკოლაში ჩვენს ერს აღგეზარდნენ თუ ბევრი არა, ცოტა მაინც ისეთი მოღვაწეც, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ ცოდნის მოყვარეობის და თვით-განათლების უძლეველ მისწრაფების მეოხებით მალე შეითვისეს სავსებით დედა-ენა, შეიძინეს ცხოვრებისთვის გამოსადეგი ცოდნა და ასე თუ ისე ემსახურებოდნენ და ემსახურებიან თვისი სამწყსოს სულიერს გამოფხიზლებას... არიან ისეთნიც, რომელთაც სახელი გაითქვეს ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. სამწუხაროდ, ასეთ მოღვაწეთა რიცხვი მცირეა.

4. მღვდელი არის ქრისტეს სწავლის წარმომადგენელი. ამისთვის ის მოვალეა, დაეხმაროს ტანჯულთ და გაჭირვებულთ, ამოიღოს ხმა, როდესაც ხედავს უსამართლოებას. ძველად უმეტნაკლებოდ ესე სჩადიოდნენ მღვდლები. შემდეგში მათ დაივიწყეს ეს წმიდა მცნება, თვალი მოარიდეს უსამართლოებას და გულგრილად დაუწყეს ცქერა ხალხთა შორის არა სასურველს დამოკიდებულებას და ცხოვრებას. რა იგრძნეს თავიანთი სისუსტე, იგინი, როგორც ზევით ვთქვით, მიუდგნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და მათ სასარგებლოდ დაიწყეს მოთმინებაზე ქადაგება. ამის საბადლოდ იგინი პირდებოდნენ ნეტარ ცხოვრებას საიქიოს და თავიანთი სიტყვების დასამტკიცებლად უთითებდნენ საღმრთო წერილის იმ ადგილებზედ, სადაც საუბარია მოთმინებისა და თავისი სვებედით კმაყოფილების შესახებ. იმ სიტყვებს-კი, სადაცაა თქმული მოძმეთათვის თავის-დადების შესახებ, თითქო განძრახ ხელს აფარებდნენ, რომ არ დაეკარგა თვისი წოდებრივი მდგომარეობა. სამღვდელოება ხალხის ინტერესთათვის მებრძოლთ არ თანაუგრძნობდა დაბეჩავებული ხალხის შავი დღის გასაუმჯობესებლად ხმის ამოღებაში და თვითონ ამ საკითხის გამოსარკვევად მაინცა და მაინც ბევრი არა გაუკეთებია რა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთთა ლითონს და თბილს სიტყვებს.

5. მოძღვრები ამბობენ, რომ იგინი არიან შუამდგომელნი ღვთისა და ერის შუა, საიდუმლოების აღმასრულებელნი, უმაღლესი სწავლის მქადაგებელნი. ამისთვის ისინი მოვალენი არიან იყვნენ შემკულნი ქრისტეს სათნოებით, მოშორებულნი ყოველს ბოროტებას, თავიანთი ზნეობრივის ცხოვრებით და საქმით ერისთვის სამაგალითონი. მაგრამ ხალხი ამისთანა ღირსებებს ვერ ხედავს მწყემსებში, პირიქით, ეს უკანასკნელნი აღსავსენი არიან იმავე ნაკლულევანებით, რითაც მდაბიო ხალხი. მღვდელიც სწორედ ისევე, თუ მეტად არა, ფიქრობს ნივთიერი კმაყოფილების, სამსახურში ამაღლების, ჯილდოების მიღების, დროების გატარების შესახებ, როგორც ერის კაცი. მოძღვართა შორის სუფევს ისეთივე მტრობა, შურისძიება, განხეთქილება, თუ მეტი არა, როგორც ერის კაცთა შორის. როგორც ეს უკანასკნელნი, ისე პირველნი ზრუნავენ ამა სოფლისათვის; იშენებენ ორ-სამ სართულიანს სახლებს, სდგმენ ოთახებში ძვირფასს ავეჯს, მართავენ ტელეფონებს (ქალაქებში), იდგამენ როიალებს და სხვ. სამწყსომ გაახილა თვალი და დაინახა, რომ მათი მწყემსების სიტყვა და საქმე ერთმანერთს ეწინაღმდეგებიან...

აი მოკლედ ის უმთავრესი მიზეზები, რომელთაც აღმართეს მღვდელსა და ერს შორის გაუვალი კედელი. რით შეიძლება ამ კედლის დაქცევა, რომ დამყარდეს მწყემსსა და ერს შორის ჩვენის ქვეყნის წარმატების მოტრფიალეთათვის ესდენ სასურველი ნამდვილი გულითადი ერთობა?

ამის პასუხი სხვა დროისათვის გადავდოთ. ცხადია, ილარიონ ჯაშის სტატიადროული იყო, მაგრამ ერთ სტატიას, როგორ კარგადაც არ უნდა ყოფილიყო იგი დაწერილი, არ შეეძლო ამოევსო სამღვდელოებასა და მრევლს შორის გაჩენილი ბზარი.

1905 წლის ნოემბერში დეკანოზმა **დავით ღამბაშიძემ** ჟურნალ "მწყემსში" (1905, 21) დაბეჭდა მცირე ზომის წერილი სათაურით **"ავტოკეფალია"**. სტატიაში ბევრი ისეთი ფაქტია მოყვანილი, რომლებიც არათუ ფართო საზოგადოებისატვის, შეიძლება სამღვდელოებისათვისაც კი არ იყო ცნობილი. მოგვყავს ეს სტატიაც მთლიანად.

### ავტოკეფალია
(წერილი პეტერბურგიდან)

პეტერბურგის მიტროპოლიტმა ანტონიმ მიანდო პეტერბურგის აკადემიის საქართველოს საეკკლესიო ისტორიის კათედრის პროფესორს ი. ი. სოკოლოვს, შეადგინოს დასაბუთებული მოხსენება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზე მომავალ საეკკლესიო კრებისათვის. ეს მოხსენება სოკოლოვმა უნდა დაასრულოს და წარუდგინოს მიტროპოლიტს პირველ დეკემბერს. სოკოლოვი გულმოდგინედ მუშაობს ამ საკითხზე და არჩევს მასალებს ყველა ენაზე, ხოლო ქართული ენიდან მასალებს ჩვენ ვუთარგმნით და ვაწოდებთ. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც იგი შეუდგა ამ საკითხის შესწავლას, მაგრამ ეხლავე დარწმუნდა, რომ ჩვენი ეკკლესია ტყუილა უმიზეზოდ არის მოკლებული თავის უფლებას, რომელი უფლებაც მას ხელ-ახლა უნდა დაუბრუნდეს. პეტერბურგში საზოგადოდ ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ჩვენ ეკკლესიას უნდა დაუბრუნდეს უკანონოდ ჩამორთმეული უფლება. ჩვენის აზრით, ეხლა ჩვენმა სამღვდელოებამ უნდა შეიმუშაოს საკითხი ხარჯის შესახებ. აქ, როგორც ხმა დადის, მიზეზად უარის ყოფისა ავტოკეფალიაზე ასახელებენ ხარჯს. ამბობენ, რომ საქართველოს ეკკლესიის შენახვა წელიწადში 400,000 მანეთად გვიჯდება და თუ ავტოკეფალია მივანიჭეთ, იმ შემთხვევაში ხარჯს ჩვენ აღარ მივსცემთო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ის საეკკლესიო მამულები, რომელიც მთავრობამ ჩამოართვა, ეკკლესიას უნდა დაუბრუნდეს. თუნდ რომ არც ეყოს, თავისუფალი მაინც იქმნება ჩვენი ეკკლესია იმ ბორკილებისაგან, რომლებითაც იგი შეზღუდულია.

სრულებით უსაფუძვლოა ის შიში, რომელიც გამოცხადებულია „ცნობის ფურცლის“ ზემომოყვანილ შენიშვნაში იმის შესახებ, რომ ფული არ გვექნება ეკკლესიების და სამღვდელოების შესანახავად. რომელი ხაზინა გვაძლევდა ჩვენ ფულებს, როცა ჩვენვე ვიყავით ჩვენი ქვეყნის გამგენი? თუ ჩვენი საეკკლესიო მამულები ძველ დროში მშვენიერად აკმაყოფილებდენ მონასტრებს, ეკკლესიებს და სამღვდელოებას, ნუ თუ დღეს აღარ იკმარებს ხარჯად, როდესაც შემოსავალი ამ მამულებიდან ერთი ოთხად მომეტებულია? საეკკლესიო მამულები დღეს აძლევს ხაზინას ორასი ათას მანეთს და რიგიანად რომ წაიყვანოს კაცმა მათი მართვა, სამასი ათას მანეთზე მეტს მოგვცემს.

კიევის მიტროპოლიტს ფეოგნოსტს ერთი მილიონი მანეთი ფული დარჩა, რადგან დიდი შესავალი ჰქონდა. მოსკოვის მიტროპოლიტის პირველ ვიკარ-ეპისკოპოსს ჯამაგირს გარდა ოცი ათასი მანეთი შესავალი აქვს საეკკლესიო მამულებიდან. თუ ჩვენი კათალიკოსი და ეპისკოპოსები კუროპატკინის ჯამაგირს მოითხოვენ, რასაკვირველია, არ ეყოფა არც საეკკლესიო მამულების შემოსავალი და არც ხაზინისა. ჩვენ ძველ ეპისკოპოსებს თუ დიდი ჯამაგირები არ ჰქონდათ, რით ჩამოუვარდებოდენ ეხლანდელ ეპისკოპოსებს? საეკკლესიო მამული აძლევდა მათ შეშას, სიმინდს, პურს, ღვინოს და სხვა საჭირო ნივთებს. წელიწადში მცირე ჯამაგირს კმარობდენ და მშვენიერად სცხოვრობდენ. დღეს-კი ეპისკოპოსებს ოთხი ათასი მანეთი აქვსთ დანიშნული და შემოსავალიც ზოგიერთ ადგილას ამაზედვე მეტს შეადგენს. ნუ თუ ეპისკოპოსისათვის საჭიროა ამდენი ჯამაგირი სარჩენად? რუსეთში ზოგიერთ მიტროპოლიტების და ეპისკოპოსების შესამოსელი 1000-3000 მანეთად ღირს. ვის რა სარგებლობას მოუტანს ამისთანა ძვირფასი შესამოსელი? მიტროპოლტმა იოანნიკემ დიდი სიმდიდრე დაუტოვა თავის შემლებულ ნათესავებს, მაგრამ ამით სარწმუნოებისათვის არავითარი სარგებლობა მას არ მოუტანია. ჩვენთვის დიდად სასურველია კათალიკოსიც, ეპისკოპოსებიც და მღვდლებიც ზომიერად, ქრისტეს მცნებისამებრ მცხოვრებნი და არა დიდი ჯამაგირების მიმღებნი და ძვირფასი პორფირით და ბისონით მოსილნი... საჭიროა არა გარეგანი ბრწყინვალება, არამედ შინაგანი...

რუსეთი თუ დღეს საქართველოში ოთხასი ათას მანეთს ხარჯავს სამღვდელოებისათვის? ალბად აქაური ხაზინიდან და ეს ხაზინა აქვე იქნება, იმისათვის, რომ ჩვენ საქართველოს გამოყოფას კი არ ვთხოვილობთ რუსეთიდან, არამედ ავტონომიურ მმართველობას, კათალიკოსის დანიშვნას, რომელსაც მოკლებული ვართ წინააღმდეგ მოციქულების კანონებისა.

დეკანოზ **დავით ღამბაშიძის** წერილში მოყვანილმა ფაქტებმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამას წინასწარვე გრძნობდა ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი. ამიტომ იყო, რომ „მწყემსის“ იმავე ნომერში(1905, 21) დაიბეჭდა პეტერბურგში მყოფი გაზეთ "ცნობის ფურცლის" კორესპონდენტის ინფორმაცია სათაურით: **„რას ჰფიქრობენ პეტერბურგში ჩვენს სამღვდელოებაზე**?"მოვიტანთ ამ მასალასაც მთლიანად.

(გაგრძელება იქნება)

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 477-480

# შემოქმედებითი პროექტის - „მზის შვილების" პრემიერა ავსტრიაში


Meine Region

YBBSTAL

Grandiose Uraufführung im Plenkersaal Waidhofen

Kunstprojekt „Children of the Sun" von Tata Asatiani-Aigner begeisterte.

...lturelles ...ghlight

...30-jährigen Jubiläum der ...erherstellung der diplo...schen Beziehungen zwi...n Georgien und Österreich ...te am Samstag das Kunst...ekt „Children of the Sun" ... Tata Asatiani-Aigner alias Fi...Solis im Plenkersaal Premie... Musikschuldirektor Christian ...ous konnte dazu unter an...em Stadtchef Werner Kram..., Landtagsabgeordneten An... Kasser, Nationalrat Andreas ...nger sowie Vertreter der Ge...gischen Botschaft begrüßen.

Tata Asatiani-Aigner (links), B...germeister Werner Krammer u... Musikschuldirektor Christian ...hous 1. und 2. von rechts) mit Vertretern der georgischen Bo...schaft in Wien, Luka Abshilava, ...na Bausbek und Mariam Schub... (von links). Fotos: Kössl

...arl Oberklammer, Silke Krammer, Maria ...berklammer, Elisabeth und Franz Wagner (von links) genossen den Abend.

Vizebürger...meister Ar... Bahr, Thom... Wurzenberg... Sabine Fries...negger und Gabi Weber beim Plausc... vor dem Ko...zert.

Musikschuldirektor Christian Blahous, Landtagsabgeordneter Anton Kasser, Mariam Schubäus von der georgischen Botschaft in Wien, Tata Asatiani-Aigner, Nationalrat Andreas Hanger, Veronika Larsen vom Musik & Kunst Schulen Management Niederösterreich sowie Bürgermeister Werner Krammer tauschten sich aus.

Mehr Fotos auf NÖN.at

22 Stadt Waidhofen Kultur Meine Region Woche 39/2022 NÖN

URAUFFÜHRUNG

Musikalische Reise ins Licht

„Children of the Sun" von Filia Solis überzeugte im Plenkersaal Waidhofen.

VON ANDREAS KÖSSL

WAIDHOFEN Eine grandiose Uraufführung erlebte am Samstagabend das multimediale Kunstprojekt „Children of the Sun" im Plenkersaal Waidhofen. Die von der aus Georgien stammenden und in Waidhofen lebenden Pianistin und Komponistin Tata Asatiani-Aigner alias Filia Solis konzipierte musikalische Reise von der Dunkelheit ins Licht wurde von einem Lehrerensemble der Musikschule Waidhofen eindrucksvoll interpretiert. Den Klavierpart übernahm Filia Solis selbst. Am Gesang wurde sie von Sopranistin Lucia Amenitsch unterstützt.

Dazu flimmerten im Hintergrund analoge Visuals des Waidhofner Künstlers Uli Kühn über die Leinwand, welche die Erhabenheit der musikalischen Darbietung weiter verstärkten, ebenso wie die Tanzperformance, die Maria Blahous mit den jungen Tänzerinnen der Musik- und Kunstschule Waidhofen und der Musikschule Laakirchen einstudiert hatte.

Mehr Fotos auf NÖN.at

Analoge Visuals von Uli Kühn verstärkten die Erhabenheit der Musik, die von den Lehrern der Musikschule dargeboten wurde.

Pianistin Tata Asatiani-Aigner (links) begeisterte am Klavier mit den Musikstücken ihrer Komposition „Children of the Sun".

Choreografin Maria Blahous mit den jungen Tänzerinnen.

Musikschuldirektor Christian Blahous führte durch den Abend. Fotos: Kössl

24 სექტემბერს, ავსტრიის ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის ფლენქას დარბაზში შედგა ავსტრიაში მცხოვრები ქართველი მუსიკოსის და ხელოვანის, **თათა ასათიანი-აიგნერის** მიერ შექმნილი მუსიკალური და მულტიმედიური პროექტის ,,მზის შვილების" პრემიერა, რომელიც მიეძღვნა საქართველოსა და ავსტრიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს.

იგი ჩატარდა ავსტრიის პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ **ვოლფგანგ სობოთქასა** და ქვემო ავსტრიის ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის მერის, ბატონ **ვერნა ქრამერის** პატრონაჟით და ავსტრიაში **საქართველოს საელჩოს** მხა-რდაჭერით.



პროექტ „მზის შვილების" პრემიერა.

ღონისძიებას პროექტის ქართველ ავტორთან ერთად ორგანიზება გაუკეთა ქვემო ავსტრიაში მდებარე იბსთალის მუსიკალური სკოლების გაერთიანებამ.

პრემიერას სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ წარმომადგენლები საქართველოს საელჩოდან ავსტრიაში, ავსტრიის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი, **ანდრეას ჰანგერი,** ქვემო ავსტრიის რეგიონის ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატი, **ანთონ ქასერი** და ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის მერი **ვერნა ქრამერი.**

სტუმრების ოფიციალური მისალმების შემდეგ პროექტის ავტორის, თათა ასათიანი-აიგნერის, პროექტის ორგანიზატორის **ქრისთიან ბლაჰუსის** და ქვემო ავსტრიის რეგიონის ადგილობრივი დეპუტატის **ანთონ ქასერის** მიერ ნაჩვენები იქნა გახსნის ვიდეო, რომელიც გადმოსცემდა მადლიერებას პროექტის ყველა მონაწილის მიმართ.

მრავალმხრივი ხელოვანის, თათა ასათიანი-აიგნერის შემოქმედებითი ფსევდონიმია **Filia Solis.** მის მუსიკალურ და მულტიმედიურ პროექტს ძირითადად საფუძვლად უდევს კაცთმოყვარეობის იდეა — საკუთარი თავის და ზოგადად, ადამიანების სიყვარული. პროექტი ეძღვნება ყველა იმ ადამიანს, რომელიც ცხოვრების გზაზე შეხვედრილი დაბრკოლებების მიუხედავად პოულობს ძალას და სიმამაცეს, რომ არ გაჩერდეს და იაროს წინ, საკუთარი ოცნებებისა და მიზნებისაკენ.

ყველაფერი ეს პროექტში ხორცშესხმულია თათას მუსიკალური ნაწარმოებებით, თავისივე სიმღერის ტექსტებით, ცეკვის პერფორმანსით, შუქის ინსტალაციებით და ვიდეოებით, ასევე — ელექტრონული საუნდით.

პროექტში გამოყენებული შუქის ინსტალაციები ასეთი სახით უშუალოდ ,,მზის შვილებისთვის" შექმნა ვენის სახელოვნებო უნივერსიტეტში მოღვაწე ხელოვანმა **ული ქიუნმა** და მას ეწოდა ანალოგური ვიზუალიზაციები.

ცეკვის პერფორმანსი პრემიერისთვის დადგა ქორეოგრაფმა **მარია ბლაჰუსმა** 11 მოცეკვავით და თავისივე მონაწილეობით.

პროექტის ფარგლებში შესული ვიდეოები გადაიღო თათამ თავისი მეუღლის-ალექს აიგნერისა და მათი მეგობრის თომას აიჰლეთერის დახმარებით და თვითონვე დაამონტაჟა.

,,მზის შვილებში" თათასთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მისი კოლეგები და მოწვეული მუსიკოსებიც.

,,მზის შვილების" პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

— *,,ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ბატონ პარლამენტის თავმჯდომარეს, ვოლფგანგ სობოთქას და ქალაქის მერს, ბატონ ვერნა ქრამერს პროექტის პრემიერის პატრონაჟისთვის. ასევე, უღრმესი მადლობა ავსტრიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს და ქალბატონ ელჩს,* ***ქეთევან ციხელაშვილს,*** *მხარდაჭერისთვის.*

*უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა პროექტის თანაორგანიზატორს, ბატონ ქრისთიან ბლაჰუსს, პროექტის ყველა მონაწილეს და თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ორგანიზების პროცესში თუნდაც მცირე წვლილი შეიტანა. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ასეთი მასშტაბის ღონისძიების სცენაზე გატანა.*

*და ბოლოს, უღრმესი მადლობა ჩემს მეუღლეს - ალექს აიგნერს, გვერდში დგომისთვის და პროექტში შეტანილი წვლილისთვის"-* —ამბობს თათა ასათიანი-აიგნერი.

წარმოშობით ქართველი მუსიკოსი და ხელოვანი, თათა ასათიანი-აიგნერი,რომელმაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა, ცხრა წელია ავსტრიაში ცხოვრობს. ის მუშაობს ქვემო ავსტრიის ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის მუსიკალურ სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად, კონცერტმაისტერად და ასევე, ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტად. ამის გარდა, თათა წერს მუსიკალურ ნაწარმოებებს, ქმნის შემოქმედებით პროექტებს, არის რამდენიმე ბენდის წევრი და აქვს ხშირი საკონცერტო გამოსვლები.თათა დაქორწინებულია ალექს აიგნერზე.

-ქვემო ავსტრიის რეგიონის ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატი, **ანთონ ქასერი**: — *მე ძალიან მოხიბლული ვარ ამ ღონისძიებით — ,,მზის შვილების" პრემიერით. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს დროის სინამდვილეში ეს პროექტი არის სიგნალი ურთიერთობების და მეგობრობის განმტკიცების. ეს იდეა ედო საფუძვლად ამ შემოქმედებით პროექტს. მე ვულოცავ თათას და ასევე ვაიდჰოფენ იბსის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლას ასეთ გრანდიოზულ ნაბიჯს.*

ავსტრიის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი, **ანდრეას ჰანგერი:** — *,,მზის შვილები" ძალიან ლამაზი და შემოქმედებითი პროექტია, რომელიც ვაიდჰოფენ/იბსთა-ლის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლის ფარგლებში ჩატარდა. მე ძალიან მნიშვნელოვნად ვთვლი იმ ფაქტს, რომ ასეთი სახის პროექტი სცენაზე გავიდა, რადგან ის ასევე ქვეყნებს შორის ურთიერთობებს უსვამს ხაზს. ჩემთვის ეს იყო ძალიან ლამაზი და მნიშვნელოვანი საღამო. ჩვენ ზუსტად დღევანდელობაში გვჭირდება ქვეყნებს შორის ურთიერთობის განმტკიცება და ეს ღონისძიება იყო ამის სიმბოლო.*

ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის მერი, **ვერნა ქრამერი:** — *ის ფაქტი, რომ პროექტი ,,მზის შვილების" პრემიერა ქალაქ ვაიდჰოფენში შედგა, ჩემთვის აბსოლუტურად ფანტასტიურია. ჩვენს გამოწვევებით სავსე დროში რომ ხელოვანი თათა ასათიანი თავისი შემოქმედებითი პროექტით ჩვენ ასეთ ძალას გვაძლევს, ამით მე, როგორც ქალაქის მერი, ძალიან ვამაყობ.*


(მარცხნიდან მარჯვნივ) ვაიდჰოფენ/იბსთალის მუსიკალური სკოლების გაერთიანების დირექტორი და პრემიერის თანაორგანიზატორი, ქრისთიან ბლაჰუსი; ქვემო ავსტრიის რეგიონის ადგილობრივი პარლამენტის დეპუტატი, ანთონ ქასერი; ავსტრიაში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი, მარიამ შუბეოსი; ავსტრიის ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატი, ანდრეას ჰანგერი; პროექტის ავტორი, ხელოვანი თათა ასათიანი-აიგნერი; ქვემო ავსტრიის მუსიკალური სკოლების გაერთიანების მენეჯმენტის წარმომადგენელი, ვერონიქა ლარსენი და ქალაქ ვაიდჰოფენ იბსის მერი, ვერნა ქრამერი შემოქმედებითი პროექტის „მზის შვილების" დაწყების წინ VI -მილებაზე.

ვაიდჰოფენ/იბსთალის მუსიკალური სკოლების გაერთიანების დირექტორი **ქრისთიან ბლაჰუსი: —** *როგორც ვაიდჰოფენ/იბსთალის სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი, ძალიან ვამაყობ იმ ფაქტით, რომ პრემიერა ჩვენი ხელოვანების და მუსიკოსების მონაწილეობით შედგა. ,,მზის შვილებმა" ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მუსიკა მშვიდობის ენაა, რომელიც ახლა ნამდვილად გვჭირდება და მისი გაგება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილშია შესაძლებელი.*



(მარცხნიდან მარჯვნივ) ხელოვანი თათა ასათიანი-აიგნერი და ვაიდჰოფენ/იბსთალის მუსიკალური სკოლების გაერთიანების დირექტორი და პრემიერის თანაორგანიზატორი, ქრისთიან ბლაჰუსი ესალმებიან საპატიო სტუმრებს და მაყურებლებს პრემიერის დაწყების წინ ფლენქას დარბაზში.

ქვემო ავსტრიის მუსიკალური სკოლების გაერთიანების მენეჯმენტის წარმომადგენელი, **ვერონიქა ლარსენი: —** *მთელი გულით ვულოცავ პროექტის ხელმძღვანელს და მის ყველა მონაწილეს ასეთ ბრწყინვალე ღონისძიებას, რომ-ელიც ამავდროულად ქვემო ავსტრიის მუსიკალური სკო-ლების მასწავლებლების უმაღ-ლესი დონის პროფესიონალიზმს და უდიდეს ღვაწლს უსვამს ხაზს.*

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა +12+15 | წვიმა +8+14 | მზე, ღრუბელი +9+15 | ღრუბელი +12+21 | წვიმა +13+21 | მზე, ღრუბელი +14+23 | წვიმა +9+16 |
| 10 ოქტომბერი ორშაბათი | 11 ოქტომბერი სამშაბათი | 12 ოქტომბერი ოთხშაბათი | 13 ოქტომბერი ხუთშაბათი | 14 ოქტომბერი პარასკევი | 15 ოქტომბერი შაბათი | 16 ოქტომბერი კვირა |